# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 23 ივნისი, 2010 წელი.

№116 (6482)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

## ასე რამ შეგაძულათ საკუთარი ხალხი, ადამიანებო?!

- მე ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის უბედობა მტკივა!
- „პარტია ჩვენი მესაჭეა“
- გაუმარჯოს ვაიოპოზიციას!

7



დავით გამყრელიძე:

## ნოღაიდელთან ერთად სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწევდით

2



ვარაუდი

3

## „სახალხო კრების“ როველს სექტემბერში მოვესწრებითო

## რა არ ემეტებათ ბილაურსა და მერაბიშვილს უგულავასთვის?

3

## სანამ ჩვენ მოგებას მივეჩვევით, სხვები ჯიბეებს ისქელებენ

6



## ისევ განვლილ არჩევნებსა და ხელისუფლების მშვიდობიან გასტუმრებაზე

5

ნომრის კარიკატურა




## როგორც ირკვევა, იუშჩენკოს დროინდელმა უკრაინამ თავისი თავისგან შეისყიდა საქართველოსთვის მიყიდული 48 საზენიტო რაკეტა

8



## ჩვენს ამჟამინდელ მაიმუნობას თურმე დიდი „მაიმუნეთი“ უდებს სათავეს

9



არჩევნების შემდეგ

**დავით გამყრელიძე არ ნანობს. მართალია მხოლოდ ერთი მემარჯვენე – დავით საგანელიძე გახდა თბილისის საკრებულოს დეპუტატი, რომლისთვისაც ირაკლი ალასანიამ ვერც ერთი თანამდებობა ვერ გაიმეტა, მაგრამ მაინც...**



# დავით გამყრელიძე: ნოლაიდელთან ერთად სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწევდით

## „მემარჯვენეები“ მთელ ოპოზიციურ სპექტრს გაერიდნენ

გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი პოლიტიკაში ყოფნის 10 წლის შემდეგ ამ პროფესიასაც დაემშვიდობებოდა, თავად არ დაადასტურა. „პრაიმ-ტაიმის“ სტუდიაში ჟურნალისტებს კატეგორიულად განუცხადა, რომ თუ მაინც და მაინც ცხელი ზაფხული არ შეუშლის ხელს, პაუზები აღარ იქნება. არანაირი ბიზნეს აქტივები არა მაქვს. ამიტომ, პირიქით, მეტი ინტენსივობით მომიწევს მუშაობა პოლიტიკაშიო. ის მხოლოდ იმაზე სწუხს, რომ საზოგადოება, ექსპერტთა წრეები, მედია მზად არ აღმოჩნდნენ ერთობისთვის – ახალი ლიდერის გარშემო გაერთიანებული რამდენიმე პარტიის აღსაქმელად: **„თქვენ ამბობდით, რომ ორი ურეიტინგო პარტია მიეწება ალასანიას, –** უსაყვედურა მან ჟურნალისტებს, **– მაგრამ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ „ახალი მემარჯვენეები“ სუსტები არა ვართ. ერთიანობის სურვილი ნამდვილად გვქონდა, გვინდოდა ევროპული ტიპის ცენტრისტული პარტია, სადაც ლიბერალური და კონსერვატიული იდეები შეერწყმებოდა, მაგრამ ამისთვის მზად არც ალიანსის ლიდერები აღმოჩნდნენ“.**

მემარჯვენეები ამის გამო ისე არიან გულნატკენი და გაბრაზებული, რომ ამიერიდან რომელიმე სხვა პარტიასთან ან გაერთიანებას, ან ალიანსის შექმნას აბსოლუტურად გამორიცხავენ. არჩევნებზე გასვლას მარტო გეგმავენ და საამისო სამზადისს აქედანვე იწყებენ. შემოდგომაზე მე-5 ყრილობის გამართვას და საკადრო თუ სტრუქტურულ ცვლილებებს აპირებენ.

ოპოზიციის დამარცხებაში ყოფილი ალიანსელები საკუთარ წვლილს თითქმის ვერ ხედავენ, თუმცა არჩევნების შემდეგ რადიკალებმა და ნაკლებად რადიკალებმა სწორედ ალიანსი დაადანაშაულეს. მაგალითად, მიუნხენიდან დაბრუნებულმა ზურაბ ნოღაიდელმა ამაზე პირდაპირ მიანიშნა და ფორმულა „ყველას მინუს ერთის“ გამო ისინი გააკიცხა.

დავით გამყრელიძემ ბევრჯერ ახსენა სიტყვა „ანალიზი“, თუმცა არჩევნების ჩავლის შემდეგ ალიანსში მიმდინარე განხილვებისას არც არავის გამოუთქვამს პრეტენზია იმის შესახებ, რომ ოპოზიციური ერთობა ამ ფორმულის გამო ვერ შედგა: **„სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ „ყველას მინუს ერთი“ მართებული იყო. ნოღაიდელთან ერთად სასურველ შედეგს ვერ მივაღწევდით. ამავე დროს ჩვენი თვითმიზანი არ არის მხოლოდ არჩევნებში გამარჯვება, ჩვენ უკეთესი საქართველოსთვის ვიბრძვით. თუ ის ადამიანები დავაბრუნეთ ხელისუფლებაში ჩვენი მეშვეობით, ვინც ამდენი უბედურება მოგვიტანა, შემდეგ საერთოდ არ გვექნება პოლიტიკაში ყოფნის უფლება. ჩვენი – მემარჯვენეების უპირატესობა სწორედ ის არის, რომ წვლილი არ მიგვიძღვის ამ დანაშაულებრივი ხელისუფლების მოყვანაში“.** რაც შეეხება ერთიანობის იდეას, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების ცვლილების ტრამპლინი უნდა ყოფილიყო, გამყრელიძემ უპასუხა, რომ **„არც ახლაა გვიან, თუ ვინმეს გაერთიანება უნდა, ჩვენს გარეშე გაერთიანდნენ“.**

მემარჯვენეთა ლიდერი დღესაც ემიჯნება რევოლუციურ იდეებს და მხოლოდ არჩევნებს უჭერს მხარს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ შეიძლება სულ მალე ვადამდელი არჩევნების დანიშვნაც მოხდეს. გამყრელიძე სახალხო კრების იდეასაც ეჭვის თვალით უყურებს: **„აღდგომა და ხვალეო“. არ მგონია, ვინმემ მოახერხოს ისეთი ოდენობის ხალხს მოუყაროს თავი, რამდენიც 2009 წლის 26 მაისს სტადიონზე შეიკრიბა, მაგრამ ვერაფერი შედეგი ვერ მივიღეთ...** – აღნიშნა მან.

რაც შეეხება მიუნხენში შეკრებილ პოლიტიკოსებს: ოქრუაშვილს, ნოღაიდელს, გაჩეჩილაძეს, კიწმარიშვილს, ასევე „დემოკრატ“ ნინო ბურჯანაძეს, გამყრელიძის აზრით, ეს არის ერთობა, სადაც რევანშის სურვილით არიან შეკრობილნი, მაგრამ თუ მათ ხალხი დაუჭერს მხარს, ყველა გზა გამართლებულია. გამყრელიძე გამორიცხავს, რომ ან დასავლეთი, ან რუსეთი ამ იდეის უკან იდგნენ, თუნდაც დახმარება გაუწიოს. **„თუ ეს იდეა განხორციელდება, ჩვენ მივიღებთ იმას, რაც მოხდა ყირგიზეთში“** – ვარაუდობს ის.

ჟურნალისტებმა დავით გამყრელიძეს გერმანიაში ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრთან კახა თარგამაძესთან შეხვედრაც წამოაძახეს, მაგრამ მისი არგუმენტი ასეთია: **„ხშირად ვხვდები ყოფილ და ახლანდელ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათთან თანამშრომლობას“.**

ამჯერად ალიანსი დამარცხდა, ეს მხოლოდ ფინანსების, ხელისუფლების ზეწოლის, დაშინების გამო... და კიდევ ერთი, რის გამოც გამყრელიძე თავის ყოფილ ლიდერს აკრიტიკებს: **„ჩვენ სექტემბერში გამოვაცხადეთ ალიანსის რეჟიმში გადასვლა, ამით კარგი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ამის შემდეგ დავიწყეთ გაუთავებელი კონსულტაციები, რაც შეცდომა იყო და ჩვენი გაერთიანების არასტაბილურობის გამოხატულება. ვერ ვიმუშავეთ კარგად. ამიტომაც თანდათან დაეცა ალასანიას რეიტინგი“.**

**ამას ახლა ამბობს, მაგრამ არჩევნებამდე ამ სიმართლეს თვალს არავინ უსწორებდა. ასეა ახლაც, როცა მემარჯვენეები საკუთარ მაღალ რეიტინგზე და მხარდამჭერთა დიდ არმიაზე გვიყვებიან. ასე გაბედულად ამიტომაც აპირებენ მარტოკა ბრძოლას, ყველას გარეშე. თუმცა რას ამბობს ამ დროს დავით გამყრელიძის ქვეცნობიერი „მე“, ამას მხოლოდ „სიმართლის დრო“ თუ დაადგენს...**

თეა მოსია

ინფორმაცია

### ყველაზე ღარიბი ქვეყანა ევროკავშირში

2009 წელს ევროკავშირის ქვეყნებში – ბულგარეთში, რუმინეთსა და ლატვიაში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლი დაფიქსირდა.

ევროკავშირის ქვეყნებიდან კეთილდღეობით ყველაზე მეტად ლუქსემბურგი გამოირჩევა. ირლანდიის, ნიდერლანდების, ავსტრიის, შვედეთის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ბელგიის მშპ-მა ევროკავშირის მიერ დადგენილ საშუალო დონეზე 15-50 პროცენტით მეტი შეადგინა. ფინეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში მშპ დაწესებულ ზღვრულ ნორმას 10 პროცენტით აღემატება. სლოვენიის, ჩეხეთის, პორტუგალიისა და სლოვაკეთის მშპ ევროკავშირის მიერ დადგენილ ზღვარს 10-30 პროცენტით ჩამორჩება.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ ლატვია, რომლის ეკონომიკაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად დაზარალდა, რეცესიიდან გამოვიდა. ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიადგა. რთული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით, ლატვიის ხელისუფლებამ არაპოპულარულ ღონისძიებებს მიმართა: გაზარდა გადასახადები და სახელმწიფო მოსამსახურეების ხელფასები და პენსიები შეამცირა.

### ოსებმა ქართველი ტყვეები გაათავისუფლეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ოსმა სეპარატისტებმა, ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე ჩვეული მეთოდით გაათავისუფლეს, ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან გამოაძევეს.

ოფიციალური განცხადება საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის პრესსამსახურმა გააკეთა.

– ცხინვალის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს სამი მოქალაქე სამხრეთ ოსეთიდან გააძევეს. 1975 წელს დაბადებული ფრიდონ ჯერანოვი, 1945 წელს დაბადებული კარლო ნინიური და 1965 წელს დაბადებული ნუგზარ ცარიტოვი რუსმა მესაზღვრეებმა სამხრეთ ოსეთის საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის გამო დააკავეს, – იუწყება კომიტეტი.

### კაპრალმა ჯარისკაცი მოკლა

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი საარტილერიო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურე ა. ასკილაშვილი, ცეცხლსასროლი იარაღით მუცლის არეში დაჭრა ამავე ბრიგადის კაპრალმა.

ასკილაშვილი საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გარდაიცვალა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, კაპრალი, რომელმაც ასკილაშვილი დაჭრა, დაკავებულია სამხედრო პოლიციის მიერ.

მიმდინარეობს გამოძიება, ამასთან, გამოძიების დასრულებამდე პირველი საარტილერიო ბრიგადის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი გათავისუფლებულია სამსახურიდან.

ჯი-ეიჩ-ენი

პრესკონფერენცია

# ვინ შევა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში?

## ზურაბ ნოღაიდელი ოპოზიციის გაერთიანებას კიდევ ერთხელ ეცდება

**გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში მიუნხენიდან დაბრუნებულმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა და მათს კითხვებს უპასუხა.**

როგორც ცნობილია, ზურაბ ნოღაიდელი ლევან გაჩეჩილაძესთან და ეროსი კიწმარიშვილთან ერთად საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა. „პრაიმ-ტაიმში“ გამართულ პრესკონფერენციაზეც ჟურნალისტები ძირითადად სწორედ ამ შეხვედრით და მოლაპარაკების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაინტერესდნენ. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი არ უარყოფს, რომ ირაკლი ოქრუაშვილთან კონსულტაციები ახალი ოპოზიციური გაერთიანების შესახებ მიმდინარეობდა, თუმცა კონსენსუსი ჯერ მიღწეული არ არის.

– მოგეხსენებათ, ზაფხული პოლიტიკურად მკვდარი პერიოდია, ამიტომ ამ დროს გააზრებულად გამოვიყენებთ თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებული სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად, რაც ხელისუფლების შეცვლის წინაპირობა გახდება, – განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ყველამ იცის, რომ ოპოზიციაში დღემდე ვერ მოიძებნა ისეთი ლიდერი, ვის ირგვლივაც მოხდებოდა გაერთიანება, სავარაუდოდ მსგავსი ფაქტი არც უახლოეს მომავალში დაფიქსირდება, შესაბამისად ზურაბ ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ გაერთიანება ერთი კონკრეტული პირის კი არა, იდეის ირგვლივ უნდა მოხდეს ყოველგვარი მინუსებისა და რაღაც ფორმულების გარეშე. სწორედ ფორმულა „ყველას მინუს ერთი“ და ამ კონტექსტში გაკეთებული განცხადებები აფერხებდა მოლაპარაკებების პროცესს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, მიიჩნევს ზურაბ ნოღაიდელი და ოპოზიციის გაერთიანების ჩაშლაში „ალიანსს“ ადანაშაულებს.



არჩევნებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობა თავის პრობლემების მოგვარებას სააკაშვილთან არ აიგივებს, თუმცა იგივე შეიძლება ითქვას ოპოზიციაზეც, რომელმაც ხალხის იმედი ვერ გაამართლა, ამიტომ საჭიროა ახალი გეგმა და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა, – დასძინა ნოღაიდელმა.

ის დავით გამყრელიძეს გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ გამყრელიძემ ფული ხელისუფლებასთან ახლობლობით იშოვა და მისი სიტყვები მნიშვნელოვანი არაა. საქართველოში არაა პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში არ ყოფილა (თავისი თავიც იგულისხმა) და მათ შორისაა გამყრელიძეც.

– აქამდე ჩვენ პასუხს არავის ვცემდით, რათა მათ წარუმატებელი არჩევნების შედეგი ჩვენთვის არ დაებრალებინათ, მაგრამ ახლა გაჩუმებას არ ვაპირებთ – ასეთია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის პოზიცია.

რაც შეეხება „ეროვნულ საბჭოს“, რომელიც არჩევნების შემდეგ დაიშალა, ჯერ დაზუსტებით არ არის ცნობილი, მასში შემავალი პარტიებიდან ვინ შევა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელიც, სავარაუდოდ, მალე მოევლინება ქართულ პოლიტიკურ სივრცეს. აი, შეცვლის თუ არა იგი ვითარებას, ამას დროთა განმავლობაში ვიხილავთ.

ანა წიწილაშვილი

ვარაუდი

*30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოსალოდნელი შედეგით - ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდა. არჩევნებში მონაწილე ოპოზიცია ამ შედეგს არ უარყოფს, თუმცა დიდწილად გაყალბების ახალ მეთოდს — მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას უკავშირებს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ „ახლა ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის დროა და მომავალი არჩევნები მინიმუმ, ორი წლის განმავლობაში აღარ ჩატარდება“. 30 მაისს დამარცხებული ოპოზიცია მომავალი არჩევნებისთვის მომზადებას, ამ მიზნით პარტიების გაძლიერებას და პარალელურად საარჩევნო გარემოს შეცვლისათვის ბრძოლას გეგმავს. თუმცა არა მარტო არსებობს, არამედ აქტიურად იკრებს ძალას ოპოზიციის სხვა ნაწილი, რომელსაც დაბალი რეიტინგის გამო, არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის იმედი არ ჰქონდა. ე.წ. „რადიკალები“ პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ განცხადებასთან შეგუებას არ აპირებენ და ხელისუფლების შესაცვლელად არჩევნების ალტერნატიული გზების ძიებას არ წყვეტენ. ოპოზიციის ამ ნაწილთან და საერთოდ, პოლიტიკასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფენ მთელი რიგი არასამთავრობო, ახალგაზრდული, უფლებადამცველები და საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდნენ და აპოლიტიკურობის შესახებ მტკიცებების მიუხედავად, სწორედ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ. ყველაზე მასშტაბური და ამავდროულად საიდუმლოებით მოცული მათ შორის „წარმომადგენლობითი სახალხო კრებაა“. მის უკან რიგი ოპოზიციური პოლიტიკური ფიგურების აჩრდილები იმთავითვე იკვეთებოდნენ, ბოლო დროს კი ოპოზიციონერმა ლიდერებმა მას ღიად დაუჭირეს მხარი, თუმცა ისინიც და თავად წარმომადგენლობითი სახალხო კრების მოწვევის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებიც კვლავინდებურად ირწმუნებიან, რომ ეს სრულიად აპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელსაც არავინ მართავს. ამ გაერთიანებას, რომლის მოწვევის თავდაპირველი ინიციატივა ინტელიგენციის წარმომადგენლებს ეკუთვნით, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი პოლიტიკური ორგანიზაცია უერთდება, რომელთა აზრით, „დროა, საქართველოში ხელისუფლება ხალხმა აიღოს ხელში და საჭიროების შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებიც მოქმედი ხელისუფლების გვერდის ავლით დანიშნოს“.*

*„პირველი“ შეეცადა, გაერკვია, რეალურად რა მიზანს ემსახურება წარმომადგენლობითი სახალხო კრების მოწვევა, ვინ დგას ამ გაერთიანების უკან და რას უნდა ველოდოთ მისგან.*

# ვინ და რისთვის იყენებს გულანთებული პატრიოტების „წარმომადგენლობით სახალხო კრებას“, სექტემბერში გაირკვევა

იდეაში, წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობა უნდა შეცვალოს და ამ მიზნით, დელეგირების პრინციპით, მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ხალხი შეკრიბოს. მაგალითად, 20 ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს კრებაში ერთი დელეგატი ეყოლება. იდეის ავტორები 80 000-ზე მეტი დელეგატის შეკრებას გეგმავენ, რომლებიც თავის მხრივ, ორ მილიონამდე ადამიანის, ანუ კონსტიტუციური უმრავლესობის წარმომადგენლები იქნებიან. შესაბამისად, კრება პოლიტიკური პროცესის წარმართვის გადაწყვეტილებებს ხალხის სახელით მიიღებს.

სახალხო კრების მოწვევის იდეა საქართველოში ბევრს ჰქონია, თუმცა ეს ინიციატივა დღემდე ვერ განხორციელდა. საზოგადოების წარმომადგენლებმა ეროვნული კრების იდეის ირგვლივ გაერთიანება 2006 წელსაც სცადეს. მაშინდელი საინიციატივო ჯგუფის (ბაია ამაშუკელი, ვახუშტი ფარცვანია და სხვ.) აზრით, წარმომადგენლობითი ეროვნული კრება პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირებისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო. თუმცა ძალიან მალე ეს ადამიანები ე.წ. „ოფსაიდში“ აღმოჩნდნენ და კრების მოწვევის ორგანიზება სულ სხვა საინიციატივო ჯგუფმა ითავა, რომელშიც საზოგადოების ცნობილი სახეები — ჭაბუა ამირეჯიბი, ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, ელიზბარ ჯაველიძე, გოგი ქავთარაძე და სხვები შევიდნენ.

როგორც „პირველს“ ვახუშტი ფარცვანიამ განუცხადა, **„ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კრებაში პოლიტიკური დამკვეთები გაჩნდნენ.“ „თავდაპირველად კრებაში მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლები ვიყავით. შემდეგ გაჩნდა ფული და დამკვეთი — „დემოკრატიული მოძრაობის — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის სახით. კრების საქმიანობაც სულ სხვა მიმართულებით წავიდა. დღეს მრცხვენია კიდეც, ინტელიგენციის ისეთი ცნობილი სახეების წინააღმდეგ გამოვიდე, როგორებიც კრების იდეის ირგვლივ არიან გაერთიანებულები, მაგრამ ბევრი მათგანი შეცდომაშია შეყვანილი — მათი მოღვაწეობის მანძილზე უკვე მერამდენედ და ეს უხერხულიც კია“,** — განაცხადა ფარცვანიამ.

„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ახალი საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაცია 2010 წლის იანვარში, ჭაბუა ამირეჯიბის სახლში, ინტელიგენციის შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გაიმართა. სახალხო კრების ამჟამინდელი საორგანიზაციო ჯგუფის წევრი სოსო მანჯავიძე ძველი საინიციატივო ჯგუფის შეფასებას ალოგიკურს უწოდებს. **„წარმომადგენლობითი სახალხო კრება არც ერთი პოლიტიკური პირის მიერ არ არის მართული, ყველა მხარს უჭერს და თუ ვინმე უფრო მეტად დაუჭერს მხარს, ე.ი., მეტ მსხვერპლზე მიდის და მეტი არაფერი. ვერავინ დაასახელებს გარდამავალ ეტაპს სახალხო კრებიდან იმ პოლიტიკური ლიდერის ამბიციებამდე, რომელზეც ეჭვი აქვთ, რომ პროცესს წარმართავს. გზა არ არის, თემა თემაზე არ ებმება. როდესაც კრების იდეა გაჩნდა, ქალბატონი ნინო მასთან კავშირში არ იყო. ბურჯანაძე ამ ინიციატივას მოგვიანებით, სხვათა შორის, ღიად შეუერთდა და განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. მსგავსი განცხადება არაერთმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა გააკეთა და რატომ არის საუბარი მაინცდამაინც ბურჯანაძეზე?! — ალბათ, იმიტომ, რომ ის უფრო ფართო საერთაშორისო კონტაქტებით არის ცნობილი. მეტად ასოცირდება სტაბილურობის შემნარჩუნებელ ლიდერად, ერთადერთი ფიგურაა ქართული პოლიტიკური სპექტრიდან, რომელსაც მსოფლიოში ელაპარაკებიან.... შესაბამისად, ხელისუფლება ეჭვიანობს და ცდილობს, მას სახელმწიფო მოღალატის იარლიყი მიაკრას და ამით ბურჯანაძის და მისი მოძრაობის ნეიტრალიზაცია მოახდინოს“,** — განუცხადა „პირველს“ მანჯავიძემ.

ფიცი მწამს, მაგრამ „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ პოლიტიკური შეფასებები სინქრონში იმეორებს ბურჯანაძისას. მაგალითისთვის, **პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ეჭვი აქვს, რომ თუ სტალინის ძეგლის დაბომბვაზე რუსებმა უარი განაცხადეს, გორის ცენტრი ქართველების მიერ დაბომბილა. ამასთან, ბურჯანაძეს აინტერესებს, კიდევ რა გარიგებები მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ხალხის ზურგს უკან.** აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება „წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამაც“ მოითხოვა; 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულებისთანავე, ბურჯანაძე „ალიანსს საქართველოსთვის“ ღიად დაუპირისპირდა და მას „ხელისუფლებისთვის არჩევნების „გაპრავებაში“ დასდო ბრალი. მისი თქმით, არჩევნებში მონაწილე ოპოზიცია ხელისუფლების დამარცხებისთვის ბრძოლის ნაცვლად, ოპოზიციურ ძალებს შორის „პირველის“ გამოვლენით შემოიფარგლა. მეორე დღესვე „ალიანსი საქართველოსთვის“ ზუსტად იგივე ტერმინოლოგიით წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ გააკრიტიკა. **„იმიტირებულ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არსებულ რეჟიმს არსებობა გაუხანგრძლივეს. მოქალაქეთა მიზანი არ ყოფილა არც საკრებულოებში მანდატების თვლა, არც ოპოზიციაში „პირველის“ გამოვლენა და მით უმეტეს, ავტოკრატული რეჟიმისთვის დემოკრატიის ფასადური გაუმჯობესების და გამარჯვების მილოცვა. საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გამოსავალი მხოლოდ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებშია“,** — განაცხადეს კრების ინიციატორებმა და სხვა.

როგორ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, კრების ინიციატორები ვერ აკონკრეტებენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, არჩევნები ხალხმა დანიშნოს. ამასთან, **კრებაზე არჩევნების საკითხის დასმის გადაწყვეტილება „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მხარდამჭერთა დარბაზმა 7-პუნქტიანი რეზოლუციით უკვე გააფორმა. მხარდამჭერთა დარბაზის გადაწყვეტილებაში ნათქვამია: 1. არაადეკვატური და უპასუხისმგებლო ხელისუფალი არ შეიძლება, იყოს თავისუფალი ერის მმართველი. შესაბამისად, წარმომადგენლობით სახალხო კრებაზე ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების უმოკლეს ვადაში ჩატარების საკითხი დაისვას;**

იხ. 4 გვ.

დედაქალაქი

# გილაურსა და მერაბიშვილს „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მაღალრეიტინგული პროექტი უგულავასთვის არ ემეტებათ

**თბილისის მერიის პროექტის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მეორე ეტაპში გამარჯვებული კომპანიების გამოვლენა კიდევ ერთი თვით გადაიდო.**

ეს ინფორმაცია „პირველს“ მენაშენეთა ასოციაციაციის თავმჯდომარემ ირაკლი როსტომაშვილმა დაუდასტურა. თბილისის მერიაში კი აცხადებენ, რომ სპეციალური კომისია 21 მაისს შესულ სატენდერო წინადადებებს ამ დრომდე სწავლობს და ჯერჯერობით ვერ ასახელებს, როდის გამოვლინდებიან გამარჯვებულები.

ამასთან, დედაქალაქის მთავრობაში ასაიდუმლოებენ, რამდენ კომპანიას აქვს წარდგენილი განაცხადი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მეორე ეტაპში მონაწილეობაზე. არადა, პროექტის პირველ ეტაპზე ეს ინფორმაცია გამარჯვებულების გამოვლენამდეც საჯარო იყო.

„პირველის“ ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შეფერხების რეალური მიზეზი სახელისუფლებო გუნდში არსებული დაპირისპირებაა. საქმე ისაა, რომ პროექტის მთავარი დამფინანსებელი, „საქართველოს ბანკი“, რომლის გენერალური დირექტორი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ძმა ირაკლი გილაურია, სესხის გაცემაზე უარს აცხადებს.

კულუარული ინფორმაციით, გილაურსა და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რომელთა გუნდშიც პრემიერი მოიაზრება, თბილისის მერ გიგი უგულავასთვის მაღალრეიტინგული პროექტი არ ემეტებათ.



**„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ განხორციელება გიგი უგულავას ისედაც მაღალ რეიტინგზე დადებითად აისახება, რაც ხელისუფლების გარკვეული ნაწილის შეშფოთების საგნად იქცა“,** — აცხადებს სააგენტოს წყარო და დასძენს, რომ **„პროექტის „მხსნელად“ შესაძლოა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოგვევლინოს“.**

„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მეორე ეტაპი 3-წლიანია და მისი დაფინანსება 200 მლნ ლარით განისაზღვრა. „პირველის“ ინფორმაციით, აღნიშნული თანხა სწორედ პრეზიდენტის ბოლო დროს გაზრდილი ფონდიდან დაფინანსდება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებისთვის ქულებს გიგი უგულავას ნაცვლად მიხეილ სააკაშვილი ჩაიწერს.

შეგახსენებთ, რომ პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ თბილისის მერიამ 2009 წლის ივნისში წარმოადგინა. იგი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ისტორიული უბნების რეაბილიტაციასა და ეკონომიკური აქტივობის ზრდას ისახავს მიზნად. პირველ ეტაპზე გამარჯვებულ 12 სამშენებლო კომპანიასა („არსი“, „არსი ავლაბარი“, „ორთაჭალის ტურფა“, „ტიფლის-საბურთალო“, სამშენებლო კომპანია „ნიკე“, „ეუბე ჯორჯია“, „აკადემქალაქი“ — „ოქროს კვეთი“, „პარკ-პლეისი“, „აქსისი პალასი“, „მარსი“, „ვაკე პალასი“ და „ოლიმპიური ვარსკვლავი“) და 4 ბანკს— „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ბანკი ქართუ“ და „ბანკი რესპუბლიკა“) შორის ხელშეკრულებები გაფორმდა. ბანკებმა მშენებლობის დასასრულებლად დეველოპერებს 53 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი გამოუყვეს. თავის მხრივ, სამშენებლო კომპანიებმა ვალდებულება აიღეს, მშენებლობები ორი წლის განმავლობაში დაასრულონ და ავარიულ ბინებში მცხოვრები 250 ოჯახი საცხოვრებლად ახალ სახლებში გადაიყვანონ. გარდა ამისა, პროექტის ხელშეწყობით დასრულდება იმ 1 917 ბინის მშენებლობა, რომელიც კომპანიებს დაფინანსების არქონის გამო შეჩერებული ჰქონდათ.

სამშენებლო კომპანიების მიერ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ თბილისის მერია აღნიშნულ პროექტს სრულად დააფინანსებს, რაც ძირითადად ბანკის მიერ სამშენებლო კომპანიისთვის მიცემული კრედიტის დაფარვაში გამოიხატება.

ვარაუდი

(მესამე გვერდიდან)

**2. დღევანდელი პარლამენტი არ წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველ სახელისუფლებო ორგანოს, შესაბამისად, წარმომადგენლობით სახალხო კრებაზე დაისვას საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების უმოკლეს ვადაში ჩატარების შესახებ; აღსანიშნავია, რომ პუნქტების ნუმერაცია შემთხვევითი არ არის — კრება ჯერ საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას გეგმავს. იგივე მოთხოვნა აქვს „დემოკრატიული მოძრაობის — ერთიანი საქართველოს ლიდერს" ნინო ბურჯანაძეს. „ჯერ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და შემდეგ — საპარლამენტო, ან ორივე ერთად. თუ მხოლოდ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, მივიღებთ ისეთივე შედეგს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე",** — განმარტავს ბურჯანაძე.

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება" ზემოაღნიშნული პროცესების წარმართვას საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის საფუძველზე გეგმავს. აღნიშნულ მუხლში წერია, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით". ცნობისთვის, კონსტიტუციის მე-5 მუხლში სახალხო კრების შესახებ სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ კანონი ინტერპრეტაციის საშუალებას ყოველთვის იძლევა და, როგორც ჩანს, კრების ინიციატორებიც „უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებზე" აკეთებენ აქცენტს.

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ თვითონ კონსტიტუციონალისტებსაც. ვახტანგ ხმალაძის აზრით, სახალხო წარმომადგენლობით კრებას სამართლებრივი ხარისხი და შესაბამისად, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილება არ გააჩნია. „ჩემი აზრით, კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელზეც „სახალხო წარმომადგენლობითი კრების" ინიციატორები აპელირებენ,



პოლიტიკური პროცესების წარმართვის, ცესკოს დადგენილებების გაუქმებისა თუ არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხების სახალხო კრების მიერ გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა. მე-5 მუხლში საუბარია წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის განხორციელების ფორმებზე. წარმომადგენლობითი ფორმები არჩევნების გზით მართვას გულისხმობს, დემოკრატიის განხორციელების უშუალო ფორმები კი შეიძლება იყოს რეფერენდუმი ან პლებისციტი. რაც შეეხება სახალხო წარმომადგენლობით კრებას, მის სტატუსს კონსტიტუცია საერთოდ არ განსაზღვრავს, შესაბამისად, ის ვერც მსგავს გადაწყვეტილებებს დააკანონებს," — განმარტავს ხმალაძე.

ზაქარია ქუცნაშვილი კი, რომელიც მოძრაობითურთ „თავისუფლება უკანონო პატიმრებს" კრების მოწვევის იდეას შეუერთდა, მიიჩნევს, რომ კრების ლეგიტიმურობა წარმომადგენლობის ხარისხზეა დამოკიდებული. ამ აზრს იზიარებს ექსპერტი ბიძინა სავანელიც, რომელმაც წარმომადგენლობითი სახალხო კრების გეგმები სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, პროექტის სახით ჩამოაყალიბა. პროექტის თანახმად, მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს მან საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები დაარღვია, რის შემდეგაც პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, რაც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იყო და სამართლებრივად ბრალის აღიარებას ნიშნავდა. შესაბამისად, „საქართველოს მოქალაქეთა წარმომადგენლობითი კრება": 1. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს, ხოლო 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათსა და 35 წუთზე მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე დაწყებული ომის გამო, მას ადამიანურობის წინააღმდეგ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენა პირად ალიარებს; 2. საქართველოს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგების იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს; 3. საქართველოს კონსტიტუციის 5-ის მუხლის I პუნქტის შესაბამისად, რომლის ძალით, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი", საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, რომლის ძალით, „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით", სრულიად საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობა დაფუძნებული კრება, როგორც გარდამავალი პარლამენტი, დროებით კოალიციურ მთავრობას ქმნის, ნიშნავს საპარლამენტო არჩევნებს; 4. ახლადარჩეული პარლამენტი: ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2005 წლის 20 იანვარს დამგმობილ საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 6 თებერვლის რეაქციულ საკონსტიტუციო ცვლილებებს აუქმებს, ახალ მთავრობას ამტკიცებს, მოქმედი კანონმდებლობა კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში მოჰყავს, ნიშნავს რეფერენდუმს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება-არგაუქმების თაობაზე და იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ. პრეზიდენტის ინსტიტუტის შენარჩუნების შემთხვევაში, პარლამენტი ნიშნავს და გაერო-ეუთოსთან ერთად გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს," — აღნიშნულია პროექტში.

ბიძინა სავანელის პროექტი „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" ერთ-ერთი განსახილველი გეგმაა. რა იდეები აქვს თვითონ კრების საინიციატივო ჯგუფს, ამის შესახებ „პირველი" „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" საორგანიზაციო ჯგუფის წევრს სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

„ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება არჩევნების გზით შეუძლებელია. გარკვეული გეგმები გვაქვს, რომლის განხორციელება ქვეყანაში რეალობის შეცვლას გამოიწვევს, თუმცა ჯერ ყველაფერს ვერ გავახმოვანებთ. ბევრი რამ კრების ფარგლებში გადაწყდება. დღეს მოსახლეობა ვირტუალური რეალობით არის მართული, გვაჰიპნოზებენ, მაგრამ არსებობს დეჰიპნოტიზაციაც. ჰიპნოზიდან გამოსვლისას ადამიანი აგრესიული ხდება მის მიმართ, ვინც მას აჰიპნოზებდა. ასეთი სიტუაცია იქმნება საქართველოში და საზოგადოებას ხელისუფლების ქმედებებზე ადეკვატური რეაქცია ექნება, რაც საპროტესტო ტალღაში გამოიხატება და საპროტესტო ტალღის სახე არ იქნება კონკრეტული პოლიტიკური პარტია, არამედ ხალხი თვითონ გამოხატავს პროტესტს სახალხო კრების ფორმით. ჩვენ შევეცდებით, ამას ორგანიზებული და მშვიდობიანი ხასიათი მივცეთ, რათა ავანტიურისტი ხელისუფლების ინტრიგებს ქვეყანა არ გადაჰყვეს. კრებას შეუძლია, მთლიანად შეცვალოს პოლიტიკური რეალობა. ეს ადამიანების კრება კი არ არის მხოლოდ, არამედ ძალაუფლების ორგანოა. ხალხი თავისი წარმომადგენლების მეშვეობით თავის ხელისუფლებას დააფუძნებს", — განუცხადა „პირველს" სოსო მანჯავიძემ.

ამასთან, მანჯავიძე არ მიიჩნევს, რომ ორხელისუფლებიანობას (უფრო სწორად, სამს, რადგან საქართველოში დღემდე არსებობს უზენაესი საბჭო, რომელსაც მანანა არჩვაძე-გამსახურდია ხელმძღვანელობს) მივიღებთ და არც სამოქალაქო დაპირისპირებაზე იღებს პასუხისმგებლობას. „რომელიც იქნება კანონიერი და ლეგიტიმური, ის იქნება ხელისუფლება. სააკაშვილის ხელისუფლებას რესურსი მთლიანად ამოწურული აქვს და ვერაფერს მოიმოქმედებს. ძალადობრივი დაპირისპირება ქვეყანაში 7 წელია, არსებობს, რაც მიუღებელია. ისედაც სამოქალაქო ომის პირობებში ვართ. პასუხისმგებლობა ყველაფერზე ხელისუფლებას აკისრია. ბაყაყი რომ ადუღებულ წყალში ჩააგდო, მაშინ რეაქცია ექნება, მაგრამ ცივ წყალში თუ ჩასვამ და წყალს ნელ-ნელა გააცხელებ, ის მოიხარშება, ვერც გაიგებს. ამ ბაყაყის მდგომარეობაში ვართ ახლა. ბაყაყის მდგომარეობაში თუ არ გვინდა ყოფნა, ტვინი უნდა გავანძრიოთ და ისეთი შეკითხვები, როგორიცაა „ხომ არ გამოიწვევს ეს უარეს შედეგებს და სამოქალაქო ომს?", არც უნდა დავსვათ. ხელისუფლება რას მოიმოქმედებს — ეს არ უნდა გვაინტერესებდეს, ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს, ვიყოთ მართლები და ღირსეულები. ვინც შედეგებზე ბევრს ფიქრობს, ის ვერ იქნება მამაცი. საქმის შედეგზე უნდა იფიქრო და არა პირადზე. ამ ხელისუფლების არსებობა დამოკიდებულია ჩვენს უზნეობაზე", — განმარტა მანჯავიძემ.

რაც შეეხება პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც ამ გეგმის განხორცილებაში მიიღებს მონაწილეობას, კრება ფსონს ე.წ. რეალურ ოპოზიციაზე დებს და ახალ ძალებსაც ელოდება. „ასპარეზზე ახალი ძალები გამოვლენ და პოლიტიკური თამაშის წესები შეიცვლება. აქ პარტიული საკითხი არ არის, ორგანიზაციული ჯგუფები დაუკავშირდებიან ერთმანეთს და კრებას შეკრებენ. კრების მოწვევაში ყველა თანაბარუფლებიანია, აქ არ არის ლიდერი. პოლიტიკური სპექტრის ის ნაწილი, რომელიც რეალური ოპოზიციაა, ამ იდეას მხარს დაუჭერს", — იმედოვნებს მანჯავიძე.

წარმომადგენლობითი სახალხო კრების იდეის მხარდამჭერ „რეალურ ოპოზიციას" შორის უკვე ფიგურირებს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო", ასევე ლევან გაჩეჩილაძის „დაიცავი საქართველო", ეკა ბესელიას „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს", „საზოგადოებრივი დარბაზი". კრების ორგანიზებაში მონაწილეობას გეგმავს „ეროვნული საბჭოც". კონსულტაციები მიმდინარეობს კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლებასთანაც", რომელსაც კრების მოწვევის იდეა ჯერ კიდევ შარშან ჰქონდა, თუმცა მაშინ ოპოზიციურმა ძალებმა გადაწყვიტეს, რომ 9 აპრილს დაწყებული აქციებით უფრო სწრაფად შეცვლიდნენ ხელისუფლებას. მანჯავიძის თქმით, კრებას დახმარება აღუთქვეს „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა და „ეროვნულმა ფორუმმაც", თუმცა ეს ორი პარტია საბოლოო პოზიციას ჯერჯერობით არ აფიქსირებს და მიიჩნევს, რომ ჯერ კრების რეალური მიზნები და მათი განხორციელების გზები უნდა გამოიკვეთოს, მათ შორის ის, ხომ არ არის ეს კარგად შეფუთული იდეა, რომლის უკანაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან.

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობითი სახალხო კრების კიდევ ერთი ინიციატორის, „თეთრების" ლიდერის თემურ შაშიაშვილის აზრით, „რეალურ ოპოზიციურ ძალთა მიდგომა სისტემური უნდა იყოს და მოქმედების სისტემური პროგრამა შემუშავდეს". შაშიაშვილი ეფექტიანად მიიჩნევს, „სახალხო წარმომადგენლობითი კრების", „სახალხო სამართლის", კონსტიტუციის მილების, პრეზიდენტის იმპიჩმენტის, „ოპოზიციის შესახებ" კანონპროექტის, საარჩევნო კანონმდებლობის და საარჩევნო გარემოს ერთიან კონტექსტში განხილვასა და კონსულტაციების ამ ფორმატში გაგრძელებას.

წარმომადგენლობითი სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ნინო გაფრინდაშვილმა, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ სახალხო სასამართლოსა და სხვა პროექტების მასალები წარმომადგენლობითი სახალხო კრების ფარგლებში იქნება გათვალისწინებული.

**რეალურად ვინ შეიძლება, მოვიდეს ხელისუფლებაში აღნიშნული პროცესების შედეგად, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული კონტურები ნინო ბურჯანაძის მიმართულებით უკვე გამოიკვეთა. თავად პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე „პირველთან" საუბარში წარმომადგენლობითი სახალხო კრების სახელით პრეზიდენტობისთვის მზადებას უარყოფს და კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ „სახალხო კრება პოლიტიკური პარტია არ არის", თუმცა ამ „აპოლიტიკურ" გაერთიანებას საკუთარ სამომავლო გეგმებთან მიმართებაში თითქმის ყოველთვის ახსენებს და მასთან მჭიდრო თანამშრომლობას აღარ მალავს. იგივეს აცხადებენ წარმომადგენლობით სახალხო კრებაშიც.** „ჩვენი მიზანია, ვადამდელ არჩევნებს მივაღწიოთ და დანარჩენი პოლიტიკური პარტიების პრეროგატივაა. ჩვენის მხრივ, შემიძლია, გითხრათ, რომ კრებას კანდიდატი ვერ და არ ეყოლება", — განმარტავენ წარმომადგენლობით სახალხო კრებაში. თუმცა კრების იდეის ირგვლივ შეკრებილი პოლიტიკური ძალები რომ ბურჯანაძეს დაასახელებენ პრეზიდენტობის კანდიდატად, მათი განცხადებებიდან უკვე გამოჩნდა. „დაიცავი საქართველოს" წევრის გოგა ხაინდრავას თქმით, „ოპოზიციური გაერთიანების შემთხვევაში პრეზიდენტობის კანდიდატად მხარი ნინო ბურჯანაძეს უნდა დაუჭირონ".

რამდენად მოახერხებს თუნდაც რადიკალურად განწყობილი ოპოზიცია ერთი კანდიდატის ირგვლივ საბოლოოდ გაერთიანებას, ძნელი სათქმელია, თუმცა როგორც ხაინდრავას განცხადებიდან ჩანს, თუ გაერთიანება მოხდა, ე.ი., კანდიდატიც შეთანხმებულია და კრების გადაწყვეტილებებს არავინ დაელოდება.

ექსპერტების ვარაუდით, სწორედ კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმებისას მოხდება განხეთქილება კრების იდეის ირგვლივ გაერთიანებულ ძალებს შორის.

„წარმომადგენლობით სახალხო კრებას სერიოზულად არ განვიხილავ. მაშინ, როდესაც პოლიტიკური სპექტრი ასე პოლარიზებულია, ამდენი ოპოზიციური მიმდინარეობები გაჩნდა, კრება ვერ იქნება უმრავლესობის აზრის გამომხატველი. მართალია, კრების იდეა ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ მოიწონა, თუმცა ერთია იდეის მხარდაჭერა და მეორე — კონკრეტული საქმე. როდესაც საქმე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტამდე მივა, ამ პოლიტიკურ ძალთა ერთობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ამ იდეის ირგვლივ ბევრი გულწრფელი ადამიანია გაერთიანებული, მათ ნამდვილად სიკეთე სურთ ქვეყნისთვის, თუმცა კეთილი სურვილები და ნეტარმორწმუნეობა პოლიტიკაში მესამეხარისხოვანი ფაქტორია. ვფიქრობ, ეს უფრო საზოგადოებრივი მოძრაობაა პოლიტიკური ელფერით. ასევეა „ქართული აკადემიაც". ისინი ავსებენ ერთ დარბაზს, მაგრამ მათი პოლიტიკური ელექტორატი არავის უნახავს და არა მგონია, ხალხი მასობრივად მიემხროს კრებას", — განუცხადა „პირველს" პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ.

სკეპტიკურად აფასებს წარმომადგენლობითი სახალხო კრების მოწვევის იდეას საპარლამენტო უმრავლესობაც. დავით დარჩიაშვილის შეფასებით, ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც წარმომადგენლობითი სახალხო კრების მოწვევის იდეის განხორციელებას ჩაუდგა სათავეში, „დროსა და განვითარების პერსპექტივას ასცდა და გასული საუკუნის 80-იანი წლების კლიშეებით მოქმედებს".

**ნინო ჩიჩუა,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

*P. S. „იმედის" ეთერში გასულ გახმაურებულ „კვირის რეპორტაჟში" საუბარი იყო სწორედ სახალხო კრებაზე, რომელმაც თითქოსდა ხელისუფლების დამხობის შემდეგ ძალაუფლება აიღო ხელში. აუხდებათ თუ არა „მოდელირებული ქრონიკის" ავტორებს წინასწარმეტყველება, სავარაუდოდ, სექტემბერში შევიტყობთ, როცა კრების მოწვევა იგეგმება.*
*ნ.ჩ.*

# ვინ და რისთვის იყენებს გულანთებული პატრიოტების „წარმომადგენლობით სახალხო კრებას", სექტემბერში გაირკვევა

## თვალსაზრისი

# განვლილ არჩევნებზე, დაშლილ „ალიანსზე“, აუცილებელ საარჩევნო მოთხოვნასა და ხელისუფლების მშვიდობიანი გასტუმრების შესაძლებლობაზე

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 115.**

აქედან გამომდინარე, ჩემთვის და, ვფიქრობ, სხვებისთვისაც ძნელი ასახსნელი იყო, თუ ამ მშვენიერი პრაქტიკული იდეის ავტორი როგორ გაერთიანდა ისეთ პარტიასთან („ალიანსში“ შესვლა იგივე „რესპუბლიკელებთან“ გაერთიანებას ნიშნავდაძ, რომლის ლიდერმა აბსოლუტურად საპირისპირო შედეგების მომტანი, „გაშლად“ წოდებული წინადადება წამოაყენა და პრაქტიკაშიც „წარმატებით“ დანერგა, და ეროვნული ფრონტის დამშლელი პირველი ნაბიჯიც გადადგა. უსუფაშვილის იდეამ (თითქოსდა, გამყრელიძის ანალოგიურმა, ოღონდ სულ სხვა საარჩევნო გარემოში გამოყენებულმაძ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ხალხი ოთხ თვეში(!ძ, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში, კატასტროფულ დამარცხებამდე მიგვიყვანა, თბილისშიც კი! კიდევ უფრო გაუგებარი იყო „მემარჯვენეების“ მხრიდან იმის გაუთვალისწინებლობა, თუ რა **„პატივის და სახელის“ მოტანა შეუძლია (ოპოზიციური ამომრჩევლის თვალში) ისეთ პარტიასთან გაერთიანებას, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ასოცირდება** და ამ ინსტიტუტის სულ მამალ-მამალი კურსდამთავრებულებით, ანუ წამყვანი კადრებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც „კათედრებზე“ სამუშაოდ დარჩენის შემთხვევაში თვით ლევან რამიშვილს, ბ-ნ იაკობ ახუაშვილის თანახმად – ლევონ ასრატიანს, არ დაუდებდნენ ტოლს!

აქვე, „სიტყვამ მოიტანა და...-ს“ გარეშე, მინდა ვთქვა შემდეგი – ხშირად გვესმის, რომ გვარგადაკეთებული ხალხი მრავლადაა საქართველოს ხელისუფლებაში (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანსძ და გვესმის ისიც, რომ სირცხვილია(?!ძ, არ შეიძლება გვარსა და ეროვნებაზე ყურადღების გამახვილება, ყველანი ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან, და „სომეხიც“ ხომ იგივე „ქართველია“ პრეზიდენტის მიხედვით. თუ სადმე ჩვენს რეგიონში ან, გნებავთ, მსოფლიოში ადგილი ჰქონია რასობრივ და რელიგიურ შემწყნარებლობას (თუნდაც ებრაელების მაგალითზეძ, ეს იყო, პირველ რიგში, საქართველო, და თუ ვინმეს აქვს ამ მხრივ თავი მოსაწონებელი, ეს არის „ვეფხისტყაოსანზე“ და ქართველი მეფეების ბრძნულ, რასობრივ და რელიგიურ შემწყნარებლობაზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე აღზრდილი ქართველი ხალხი. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ამდენი შერეული ქორწინება გვექნებოდა და სხვა ტომის ხალხიც (ზოგი თავშესაფრის ძიებაში მოსული და სტუმრის სტატუსით ჩვენეული სტუმარმასპინძლობით მიღებული, ზოგიც – ძალით შემოსახლებულიძ ასე კომფორტულად ვერ იგრძნობდა თავს ქართულ მიწაზე, დისკრიმინაცია მათ იძულებულს გახდიდა, აეკრათ გუდანაბადი უკეთესი ქვეყნების საძებნელად. საქართველოში მოსულმა იცოდა, რომ აქ იმდენად „გვარიშვილობა“ არ ფასობდა, რამდენადაც „ზრდილობა“, ანუ კაცობა, მამულიშვილობა. ეს პრინციპი არც არასოდეს დავიწყნია ქართველ კაცს, თორემ არც ახალ ლექსს დაწერდა და არც სიმღერას შექმნიდა – „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე“. გვარეროვნების პრობლემა მაშინ ჩნდება და მიძინებული ეჭვის ჭიაც მაშინ გაფაჩუნდება მხოლოდ, როცა გამოჩნდება, რომ ეს გვარშეცვლილი ადამიანი ეროვნულ საქმეს, ქართულ საქმეს ვნებს. ქართულ საქმეს ბევრი საამაყო ქართული გვარის მატარებელიც არ აკეთებს, მაგრამ ჯოხი უფრო მეტად უცხოტომელზე რომ გადატყდეს, ამაში სულაც არაფერი იქნება გასაკვირი. სამწუხაროდ, ჩვენთან, ჯოხის გადატყდომა არ იგრძნობა არც ქართველზე და, მით უფრო, არც – გვარშეცვლილზე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ეროვნებითაც სხვა არის, რელიგიითაც და მოქალაქეობითაც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა! ეგ კი არა, ისიც ვერ გაგვირკვევია ხეირიანად, თუ ვინ ვინ არის. წინა პარლამენტში ერთი დეპუტატი ვიღაცის ეროვნული წარმომავლობით დაინტერესდა და ლამის ჩაქოლეს სხვებმა – ასეთი უზნეო შეკითხვა როგორ ამოგივიდა პირიდანო. აი, როგორი ტოლერანტები ვართ, **გინდა აქცევდეს შენს ქვეყანას ვინმე, მის ეროვნებაზე ხმამაღლა ლაპარაკი უკულტურობაა და ჩამორჩენილობა!**

ერთი სიტყვით, არჩევნებს თუ მივუბრუნდებით, ხელისუფლებასთან უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ „50 %+1 ხმა“ პრინციპით ჩატარებული არჩევნებით თუ მოხერხდება. 30 %-იან ბარიერზე დაყაბულება თავიდანვე კაპიტულაციაზე ხელმოწერას ნიშნავს, და არჩევნებში არჩევნებს, ერთიან კანდიდატზე ვერშეთანხმება კი ნოღაიდელის ბრალიაო.

კუბლაშვილმა თუ კარები გაიჯახუნა, ანალოგიური საპასუხო „დიპლომატიური“ ჟესტით (რაც გაეროში სტაჟირებაგავლილ კაცს არ უნდა გასჭირვებოდაძ შეიძლებოდა, სურვილის(!ძ შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ ჩაშლილი ამ მოლაპარაკებისთვის დიდი რეზონანსის მიცემა, და არა თავის დამამცირებელი ღიჭინი 40 %-იან ბარიერზე! „ალიანსს“ უნდა მოეწოდებინა საპროტესტო გამოსვლებისკენ და პარალელურად მიემართა დასახმარებლად დიპლომატიური კორპუსისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, უშუალოდ ამერიკის ხელისუფლებისთვის, რათა მათ მოეხდინათ ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე და მონაწილეობისკენ დამაიმედებელი მოწოდებები ამომრჩევლის გაბითურებას და, შედეგად, მასში საბრძოლო ჟინის ჩაკვლას ისახავს მიზნად (შეგნებით ან შეუგნებლადძ.



თავის მოტყუებაა (უფრო კი სხვისი!ძ ის სინანულიც – ოპოზიციურ პარტიებს ბოიკოტი რომ არ გამოეცხადებინათ, გამარჯვებას მოვიპოვებდითო. ყველა პარტიასაც რომ მიეღო მონაწილეობა ამ 30 %-იან არჩევნებში, გამარჯვება მაინც ხელისუფლებას დარჩებოდა. განა საპარლამენტო არჩევნებში, სადაც ადგილების 80 % „ნაციონალებმა“ იგდეს ხელთ, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია არ მონაწილეობდა?! ჰოდა, აბა რაზეა ლაპარაკი, მეხსიერებასთან ვართ მწყრალად თუ სინდისთან?! **სანატრელ ერთიან კანდიდატზე ოცნებას კი ბოლოს და ბოლოს უნდა შევეშვათ, ეს მიუღწეველია, უტოპიაა, მისი განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ 50 %-იანი არჩევნების, მისი მეორე (!) ტურის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.**

აქსიომასავით უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ 30 %-იან არჩევნებში ხელისუფლებისთვის ძალიან ადვილია გამარჯვება და ოპოზიციისთვის კი – შეუძლებელი, ადვილად ხვდებიან „ნაციონალები“ (იმიტომაც „ააგდეს ქვა და თავი შეუშვირეს“ძ, განსხვავებით „რესპუბლიკური ალიანსელებისგან“, რომლებმაც, რომ იტყვიან, თავი წაგვჭამეს თავიანთი მაღალი რეიტინგებით, ნაკითხობით (ბიბლიის დედანში კითხვის ჩათვლით!ძ და „უალტერნატივო“ ლიდერით. მოლაპარაკებების მაგიდასთან 30 %-იანი არჩევნების „მიღწევა“ დიდწილად სწორედ მათი „დამსახურებაა“ და თავის გასამართლებლად მოყვანილი ორიოდ უსუსური არგუმენტი ღიმილს იწვევდა მხოლოდ – რა გვექნა, კუბლაშვილმა დაკრა ფეხი და მიატოვა მოლაპარაკების მაგიდა, ან კიდევ – ჩვენ რომ არ მიგვეღო მონაწილეობა, სხვა პარტიები (ხელისუფლების შემქმნილი მიიღებდნენ და ხელისუფლებას მაინც „გაუჯავებდნენ“ ლაპარაკება დასრულებულიყო ოპოზიციის სამართლიანი მოთხოვნის (50% +1 ხმაძ დაკმაყოფილებით. **თუკი ვინმე იტყოდა ოფიციალურად, რომ 30 %-იანი არჩევნებიც დემოკრატიულია და გამოდგება ხალხის ნების გამოსახატავად, მაშინ ის მაინც გაცხადდებოდა, ვინაა ჩვენი ჭეშმარიტი მეგობარი და ვინ – ხელისუფლების! მაგრამ „ალიანსს“ არც არანაირ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა სურდა (პოლიტპატიმრების გასანთავისუფლებელშიც კი !) და არც დასავლეთის შეწუხება (მოდი და აქეთ შემოსწყრომოდნენ, მაშინ?!). მისთვის, ერთიან თუ დაშლილ მდგომარეობაში მყოფისთვის, ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობაც საკმარისია და დიადი გარდაქმნებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ(!) სიარული. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა – საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებოდეს და ვიღაცას შვიდ წელიწადში დემოკრატიული არჩევნები მოეპრიანოს, ეგრე სადაა, მართლა „ლობიოს ჭამა“ კი არ არის დემოკრატია, წლებია, ბატონებო საჭირო, წლები! და საკრებულოს ტრიბუნა!**

50 %-იან არჩევნებზე იმიტომ ვლაპარაკობ ამდენს და ასე დაჟინებით, რომ მას არ ექცევა ის ყურადღება, რასაც იმსახურებს და, სამწუხაროდ, იგი საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებელ ერთ-ერთ პირობადაა დასახელებული ხოლმე. მისახედი უამრავი რამ არის, უდავოდ, მაგრამ 50 %-იანი არჩევნები არის ის ერთადერთი, რასაც გამარჯვების მოტანა შეუძლია, სხვა დანარჩენი, საკმაოდ მნიშვნელოვანი და აუცილებლად გამოსასწორებელი, მასთან შედარებით, მეორე რიგის ამოცანებია. ყველაფერში ვეთანხმები ბ-ნ გიზო ზარნაძეს („საქ. რესპ.“, 8 ივნისიძ, მაგრამ 50 %-იანი ბარიერის მოთხოვნის ბძ პუნქტად მოხსენიებას, სადღაც – ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვასა და ცესკოს პარიტეტულ პრინციპებზე დაკომპლექტებას შორის, ნამდვილად – ვერა.

50 %-იანი ბარიერის საკითხი რომ ერთადერთია (!ძ და უმთავრესი (და სხვა პრობლემები მეორეხარისხოვანიძ, მარტივად დასტურდება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით. ვინ იტყვის, რომ იმ არჩევნებზე ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა იყო დადგენილი; რომ ადმინისტრაციული რესურსები არ იყო გამოყენებული; რომ ცესკო (თავმჯდომარიანადძ ხელისუფლების ნებით არ იყო დაკომპლექტებული; რომ გაყალბებებს არ ჰქონდა ადგილი (მაშინდელი გაყალბებების მსგავსი აღარც ყოფილა შემდეგ – როცა უბანზე 500 კაცი შედიოდა და ყუთებიდან 1500 ბიულეტენი ამოდიოდა, თან, ვიდეოთვალით დაფიქსირებული!ძ; რომ ერთიანი კანდიდატით მოხდა სააკაშვილთან შებმა (შეგახსენებთ, რომ ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ წამოაყენა თავ-თავისი ლიდერიძ; მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, ვერაფერს გახდა, თბილისი ხომ პირწმინდად წააგო. **წააგო სწორედ 50 %-იანი ბარიერის და წამოყენებულ კანდიდატთა სიმრავლით განპირობებული ამომრჩეველთა აქტიურობის გამო,** თორემ 30 %-იანი საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები, იგივე რესურსებით და უფრო ნაკლები(!ძ გაყალბებებით, სულ რიხინ-რიხინით (80-78-პროცენტიანი გამარჯვებებით!ძ ჩაატარა. საპრეზიდენტო არჩევნებიდან საპარლამენტომდე და საპარლამენტოდან ადგილობრივამდე პერიოდებში (4 და 24 თვეში შესაბამისადძ არც ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი შეცვლილა და არც – საარჩევნო გარემო დიდად, ასეთ ორ მარცხს ამ კუთხით რომ მოეძებნოს ახსნა. გაუგებარია, რატომ ვერ ვაცნობიერებთ სათანადოდ(!ძ, რომ გამარჯვების გასაღები „პროცენტებშია“ ჩადებული, რომ **50 %-ანი არჩევნების მოთხოვნა უნდა იყოს უპირველესი და ერთადერთი, არაფრით არ შეიძლება სხვა მოთხოვნებში მისი შერევა და პარალელურ რეჟიმში განხილვა,** თორემ ხელისუფლება ერთი-ორის შესრულებას შეიძლება კიდეც დაყაბულდეს და მთავარი კი გვერდზე დაგვიტოვოს.

50 %-იანი არჩევნების უპირატესობა (ყველანაირი!ძ იმდენად თვალშისაცემია, რომ გიკვირს, რატომ არ მოახდინეს ოპოზიციის ლიდერებმა ამ პრობლემაზე ფოკუსირება და მთელი ენერგია რატომ შეალიეს მეორეხარისხოვანი საკითხების მოგვარებას (სიების დაზუსტება, ცესკოს შემადგენლობა, ადმინისტრაციული რესურსების უკანონო გამოყენება და მისთანანი!ძ. გაფანტა რა თავისი ძალები (რაშიც ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი, კერძოდ, სიების დასაზუსტებელი სოლიდური თანხის გამოყოფითძ, ოპოზიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერს ვერ მიაღწია!

მიზეზი ყველაფრისა, და დიდად სამწუხარო არის ის, რომ საქართველომ აქამდე ვერ შესძლო უკეთესი შვილების წარმოჩენა! ნუთუ დაელია საქართველოს ღირსეული მამულიშვილები?! ნუთუ საქართველოზე და ქრისტიანობაზე მაფიქრალი ხალხი მარტო „თავისუფლების ინსტიტუტში“ იჩეკება?! ნუთუ... რაღა ნუთუა კიდევ საჭირო, ფაქტია, მეთოდურად, დასავლეთში აპრობირებული მეთოდებით, გეგმაზომიერად გვხრწნიან, გვრყვნიან, ეროვნებას გვავიწყებენ, ქრისტეღმერთის გინებას „სიტყვის თავისუფლებად“ გვინათლავენ და სატანური აზროვნების წინააღმდეგ ხმის ამოღებისას კი „ტოლერანტობის“ ბურთს გვჩრიან პირში.

სპორტული შედარება რომ მოვიყვანო, „გლობალისტურ“ რელსებზე ჩვენი გადაყვანის მსურველთა მიზანია საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები (ფართო გაგებით კი – მთელი საქართველოძ საფრანგეთისას დაემსგავსოს, ანუ როცა მოქალაქეობა და ეროვნება სინონიმებადაა ქცეული, როცა საფრანგეთის ეროვნული(!ძ ნაკრები აფრიკელ კაპიტანს გამოჰყავს მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა 11 „ფრანგი“ ფეხბურთელიდან 8 აფრიკელია და ამათგან 7 პირსაც არ აღებს „მარსელიოზას“ შესრულების დროს! მთავარია, სახელად ერქვას „საფრანგეთის ეროვნული ნაკრები“, თორემ შინაარსით თუ „აფრიკეთი“ იქნება, იყოს, რა უჭირს მერე! ამის ანალოგიურად „სა-ქართველოც“ თუ „სა-თათრეთი“ ან „სა-სომხეთი“ გახდება, არც ამით დაიქცევა მსოფლიო. სწორედ ამას გვაჩვევენ! გვაჩვევენ, რომ არაფერი არ შავდება თუ ათასი ჯიშის და ჯილაგის ხალხი საქართველოში დასახლდება, ხოლო ქართველი კაცი კი, თავის მხრივ, ასი ათასობით და მილიონობით მოედება დანარჩენ მსოფლიოს, თუ საქართველოს მიწას, ქართველებისგან დაცლილს, შინაარსისგან დაცლილი ისტორიული სახელი – „საქართველო“ შემორჩება მხოლოდ. კინაღამ დამავიწყდა, „ფეხის ხმას“ ჩვენცა ვართ აყოლილები – ჩვენც გვყავს ბრაზილიური „საქართველოს“ ეროვნული ნაკრები „პლაჟის“ ფრენბურთში, აპაა! გვინდა კი ჩვენ აფრიკელებით (ან სხვა ეროვნების ხალხითძ დაკომპლექტებული „ეროვნული“ ნაკრებები? ისე, **სულ არ გამიკვირდება, თუ „რესპუბლიკელები“ საფრანგეთის „ეროვნული“ ნაკრების გულშემატკივრები არიან.**

შეუძლებელია რამდენიმე ათეული (თუ ასეული არაძ გულანთებული პატრიოტი ვაჟკაცი არ მოიძებნებოდეს ნებისმიერი ერის 3-4 მილიონ მოსახლეში, და ყველგან „თავისუფლების ინსტიტუტების“ იმედზე იყვნენ. მაგრამ იმას, ვისაც ხელისუფლება და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების ლიდერები აწყობს, გამოკვეთილი ეროვნული ლიდერი აწყობს? ცხადია, არა! ამიტომ, რომც არ ვიცნობდეთ მათ მეთოდებს, ძნელი მისახვედრი სრულებით არ იქნება, თუ რას მოიმოქმედებენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც საშიში პოტენციური ლიდერის ნიშნები აღმოაჩნდება. პირველ რიგში, შეეცდებიან ასეთი ადამიანები არ მოახვედრონ პრესა-ტელევიზიის მეშვეობით საზოგადოების ყურადღების ცენტრში, შემდგომში კი, საჭიროებისდა მიხედვით, დაიწყება მათი ცილისწამება, დაშინება, პროვოკაციაზე წამოკიდება და თუ მოქრთამა-ბადაგირიამაც არ გაჭრა (უშიშრობად, ჭრის!ძ, მაშინ ფიზიკურ ანგარიშსწორებას (ლიკვიდაციის ჩათვლით!ძ წინ არაფერი დაუდგება!

**იაკობ ლეჟავა.**

**(დასასრული იქნება)**

№ 116. ოთხშაბათი, 23 ივნისი, 2010 წელი.

## ორიენტირი

**მიეჩვიე კარგია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ არ მინდა მოგება და დაძალება მჭირდება, ძალიანაც ცდება, არადა, ნაღდად მაძალებენ ეს ყურუმსაღები. თანაც არ უნდათ მაგრძნობინონ, რომ მაძალებენ, გაზეთების ჯიხურებსა და ბილბორდებზე გაკრული განცხადებები, მორიდებით, ერთგვარად მოკრძალებითაც კი შემომაპარებენ, მიეჩვიე მოგებასო. ეს არის და ეს. დანარჩენი კი შენ თვითონ გადაწყვიტე. თუ ლაღი ცხოვრება გინდა, კეთილი ინებე, თავს ძალა დაატანე და მიეჩვიე მოგებას, თუ არადა კისერიც გიტეხია!**

მე პირადად, მაგალითად, როგორ აღარ ვეცადე, მაგრამ ამ თითლიბაზ მოგებას ვერაფრით მივეჩვიე. რაღა დაგიმალოთ და ამ ლატბილეთებმა, რომელთაც ყოველ გათამაშებაზე ვყიდულობ, წაგებას უფრო მიმაჩვიეს, ვიდრე მოგებას. ჩემს კოლეგა ბენიტოზე ხომ წუღარა მკითხავთ. ის იმდენად ჩაერთო ყოველდღიურ სამოგებო ორომტრიალში, რომ რეპორტიორობას გადაეჩვია და „პოსლეზე“ არყის სმას მიეჩვია.

ჩემი თაობის ადამიანებს მოგებისადმი ასეთი ალერგიულობა ალბათ არც გაემტყუნებათ, შედით ჩვენს მდგომარეობის დღეებში, როცა საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად წაგებული ომი ფაქტობრივად მოგებულად გამოაცხადა და მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მოგებას მიჩვეული ქართველები არასდროს და არავისთან არაფერს აგებენ. ამან დამპყრობელი პუტინი იმდენად გააღიზიანა, რომ დაპყრობილ სააკაშვილს მეზობლის დედაკაცივით უმძრახად დაადგა. მიშაც ნახეთ, რომ ამის გამო ყურებს ჩამოყრიდა, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე უარს იტყოდა და საკუთარ რეზიდენციაში ჩაიკეტებოდა. რა ვუყოთ მერე, პუტინი თუ შემოსწყრა, სამაგიეროდ სარკოზი ელაპარაკება, თანაც მარტო საფრანგეთის პირით კი არა, მთელი ევროპისა და ამერიკის პირით ელაპარაკება. ახლა შედეგს არ იკითხავთ? სააკაშვილის მოგებულმა ომმა მარტო ჩვენ კი არ გვასარგებლა, როგორც ობამა აცხადებს, ამან რუსეთ-ამერიკის გადატვირთულ ურთიერთობაში საქართველოს პრობლემა საერთოდ მოხსნა და მსოფლიოს ორი მონსტრი ქვეყანა ერთმანეთს ჩაახუტა.

ჰოდა, ასეთი ბრწყინვალე სამოგებო

# მიეჩვიე მოგებას!

ბაში, ხალხო, მთელი ცხოვრება წაგებაზე ვიყავით ორიენტირებული და ახლა ერთბაშად მოგებაზე რანაირად გადავერთვებით. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთი პერიოდი სცადა კიდეც ჩვენი გამოსწორება, თუ სადმე გროში გვქონდა გადანახაული, გურულად მოგვახეკინა და ბანკში შეგვატანინა (გვპირდებოდა, მალე სამმაგად მოიგებთოძ, მაგრამ არა-



ფერი გამოუვიდა. ვერც გაამტყუნებ, ძველი თაობის კაცს მოგებისა არაფერი გაეგებოდა, თავადაც წაგებული წავიდა სახლში და ჩვენ რას მოგვაგებინებდა.

სამაგიეროდ შევარდნაძემ მთავრობაში უწვერულვაშო ბიჭები დაგვიტოვა იმისთანა, რომ, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, თუ მოინდომეს ფულის გულისთვის რწყილსაც კი გაატყავებენ. სიმართლე უნდა ითქვას, ამ მხრივ ბიჭებს სამდურავი არ ეთქმით, მოინდომეს კი არა, გადაინდომეს კიდეც, მაგრამ რწყილების ძებნაში დრო რომ არ დაეკარგათ, ადგნენ და ტყავი საკუთარ ხალხს გააძვრეს.

წარმოუდგენელი რამ მოხდა, მოგების წყალობით იმდენი ფული დახვავდა, აქაური ბანკები რომ ვეღარ აუთავდნენ მის რეცხვას, ბიჭებმა (ხელისუფალთ ვგულისხმობძ მისი ერთი ნაწილი გასათეთრებლად საზღვარგარეთის ბანკებში გაზიდეს. კიდევ კარგი, გონიერება გამოიჩინეს, იმ მოგებიდან მოგების საგადასახადო არ გადაიხადეს, თორემ ახლა კიდევ თავად სახელმწიფო ბიუჯეტი გახდებოდა გასარეცხი(!ძ.

ბევრი ამას ვერ მოიფიქრებდა, ჩვენმა ბიჭებმა კი უასაკოვნობის მიუხედავად (ჯერ ორმოცისანიც არ მოყრილანძ, ყველაფერი წინდაწინ აწონ-გაზომეს. ამათგან უმთავრესი მაინც ის არის, რომ ერთხელ გაბედულად გადადგმულ ნაბიჯს აღარ უღალატეს და რახან მიეჩვივნენ მოგებას, გადაჩვევას საერთოდ აღარც აპირებენ. ეს გამოჩნდა კიდეც აგვისტოს პოლიტიკის ფონზე, საქართველომ ერთი ამდენი ტერიტორია კიდევ რომ დაკარგოს, ან სულაც უტერიტორიოდ დარჩეს, სააკაშვილს ვინმე გაუბედავს და შეჰკადრებს – წაგებული ხარო? როგორ გეკადრებათ, ბატონებო, რაც უნდა მოხდეს, ქვეყანა რომც თავზე დაგვემხოს, მიშა ყოველთვის იყო, არის და იქნება მოგებული ომშიც, არჩევნებშიც, ხალხის დასაქმებაშიც და ხიდებისა და შადრევნების მშენებლობაშიც.

რაც შეგვეხება ჩვენ, მიშას მოგებულ ქვეყანაში მცხოვრებ წაგებულ ადამიანებს, ალბათ, თავები უნდა გავანძრიოთ, მივდგეთ-მოვდგეთ, დავაკვირდეთ, გავაანალიზოთ, რა გზებითა და საშუალებებით დააგროვა მილიარდები ხელისუფლებამ და ლატარიით იქნება თუ კარუსელით, რაღაც მოგებას ჩვენც გამოვკრათ ხელი. ეგ კი არა და, რადგან მთავრობა ასე ზრუნავს ჩვენთვის მოგების მიჩვევაზე, ალბათ, ისიც არ იქნება ურიგო, თუ ახლო მომავალში ამ სფეროში, ხალხის გათვითცნობიერების მიზნით, საკონსულტაციო ცენტრებიც გაიხსნება. ოღონდ ერთი პირობით, ამ საქმეში ოპოზიციური პარტიები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავრიოთ. მაგათ ერთმანეთში რამდენიც იკონსულტაციეს, იმდენი წააგეს და ჩვენ რას მოგვაგებინებენ?

საერთოდაც გაუგებარია, რაში სჭირდება ოპოზიცია იმ მთავრობას, რომელმაც მსოფლიო მოგებისა და სიმდიდრის დაგროვების ამხელა გამოცდილებას აზიარა? ერთადერთი, რაც მას ამ ეტაპზე სჭირდება, ალბათ, ახალი სამინისტროს შექმნაა, რომელიც ქვეყანაში მოგებისა და სალატარიო ინდუსტრიის განვითარების პრობლემებზე იმუშავებს. ფაქტია, ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანა რაღაც 4-5 წელიწადში უპირველეს დემოკრატ და რეფორმატორ სახელმწიფოდ აქცია, თუ ხალხს მოგებას მასობრივად მიაჩვევს, ერთდროულად ეგრევე ორ პრობლემას მოხსნის – დასაქმებისას და ადამიანების სიღატაკისგან განკურნებისას.

ერთი კია, ნაცებმა, თუკი ხალხისთვის სიკეთის ქმნა სურთ, მოძველებული სლოგანი – „გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“, სასწრაფოდ უნდა შეცვალონ ახლით – „მიეჩვიეთ მოგებას!“ მათი მრავალმხრივი ნაღვაწიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ.

**ოთარ ხუციშვილი**

## საქართველო არის ესე...

# საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა რეგიონების მიხედვით დავით აღმაშენებლიდან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სრულ ოკუპაციამდე

### ქართული და უცხოური წყაროების რეტროსპექტული მიმოხილვა

I საუკუნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი შიდა ქართლს შუა იბერიის სახელწოდებით მოიხსენიებს. VII საუკუნის უსახელო **სომხური გეოგრაფის** მიხედვით, შიდა ქართლის სახელწოდება ზენა სოფელი იყო. საერთოდ კი ქართლი (ადრე იბერიაძ მოიცავდა ტერიტორიას „თბილისიდგან და არაგვიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარავნამდე“. თემურ ლენგის შემოსევამდე არსებული ყველა წყარო ამ სივრცეში კომპაქტურად დასახლებულ არც ერთ არაქართველ ეთნოსს არ მოიხსენიებს.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ჰყავს ერისთავი სახელად **ჯავახოსი**, რომელმაც მამისგან – მცხეთოსისგან – დაიმტკიცა მიწა-წყალი **„ფარავნიდან ვიდრე თავამდე მტკვრისა“.**

XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი ნაშრომში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (უნდა იკითხებოდეს: „ცხოვრება მგლისთავა ლომისა“: გურჯი (მგელიძ, ასლან (ლომიძ, იხ. პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომებიძ, მიუთითებს, რომ **ვახტანგ გორგასალმა თავის შვილებს თავისი მიწა-წყალი წუნდიდან სომხითამდე უანდერძა“.**

შუა საუკუნეების იტალიელი მისიონერები, ევროპელი თუ არაევროპელი მოგზაურები შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს მიუთითებენ.

**არმენები (გვიანდელი სომხები)** პირველად საქართველოს ტერიტორიაზე XII საუკუნეში მაშინ ჩნდებიან, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ ლტოლვილი სომხები თბილისსა და გორში ჩაასახლა. ამ ფაქტს **სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურხაეცი** (XII საუკუნეძ ადასტურებს.

**სომხების მეორე დიდი ნაკადი** საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნეში მაშინ სახლდება, როდესაც მონღოლების მიერ ყარსიდან აყრილი სომხები ქვემო ქართლში სახლდებიან. ამ ფაქტს აღწერს XIII საუკუნის **სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი.**

**სომხების მესამე დიდი ნაკადი** საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნეში მაშინ სახლდება, როდესაც სასტიკი შიმშილის გამო სომხები, როგორც ამას **სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფეცი** აღწერს, ზამთრის ჟამს არარატის მიმდებარე ტერიტორიიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს.

**სომხების მეოთხე დიდი ტალღა** იბრაჰიმ ფაშის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც 1723 წელს განჯიდან თბილისში 3 000 სომეხი ჩაასახლა.

**სომხების მეხუთე დიდი ნაკადი** პასკევიჩის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც 1829 წელს **თურქეთიდან დღევანდელი ახალქალაქის რაიონში სომხების ჩამოსახლებას** ორგანიზაცია გაუწია.

პარალელურად თურქეთი აგრძელებს დასუსტებული საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. ამ მხრივ, უცხოურ წყაროდ გამოდგება თურქეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელსაც თავად თურქებმა გურჯისტანის ვილაიეთი უწოდეს. გურჯისტანის ვილაიეთში შემავალი რაიონები ჩამოთვლილია 1595 წელს შედგენილ **„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“**. ესენია: ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები, და არტაანის და ოლთისის ოლქები. გურჯისტანის ვილაიეთში სულ 1160 სოფელია დასახელებული.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაკონკრეტებულია ყოველი სოფლის თითოეული კომლის უფროსის სახელი, რაც საშუალებას გვაძლევს ამ სოფლებში მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობა დავადგინოთ. მაგალითად, სოფელ სხვილში ფიგურირებს ასეთი სახელები: პაპუნა, ლომინა, ბეჟანა, გროგოლა, მახარა, კვირიკე, აღდგომელა, წამალა, შიშია და ა.შ. ახალქალაქის სოფლებში: აბულში, აზავრეთში, ვარევანში, ბურნაშეთში, „ტურცხში, ქართვამში მოიხსენიება შემდეგი სახელები: ბერო, ბეჟანი, დემეტრე, მამუკა, თევდორე, მერაბი, საბა, იასონი, ჯიმშერი, ირემა, ზოსიმე, ლაშქარა, იმედა და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს ჩრდილო საზღვარს, მის შესახებ ცნობას სომხური საისტორიო მწერლობის მამა **მოვსეს ხორენაცი** იძლევა. იგი გუგარენს და კლარჯეთს ქართულ მხარედ მოიხსენიებს რა, წმინდა ნინოს მარშრუტს შემდეგნაირად აღწერს: „შემდგომ ნეტარი ნინო წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხებიც დაემორჩილებინა... მან სახარება იქადაგა **კლარჯეთიდან ვიდრე ალანთა კარამდე და კასპიის კარებამდე**“.

XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის დამდეგს ქართლის სამეფოს დასუსტების გამო „იწყება ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 296ძ.

**მეფე დავით აღმაშენებლის და მის შემდგომ უახლეს პერიოდში ოსთა აქტიურობა არ ჩანს.** მხოლოდ XIII საუკუნის ბოლოს მონღოლთა ლაშქარს დამხმარე ძალად ოსები შემოჰყვნენ, და როგორც ვახუშტი აღნიშნავს, „ამიერიდან დაიწყო მტერობა ოსებსა და ქართველებს შორის“, **ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე,** რომელმაც მონღოლებთან ერთად შემოსეული ოსები განდევნა. როგორც მემატიანე გვატყობინებს გიორგი ბრწყინვალემ „შემუსრა კავკასიაში მყოფნი, ურჩნი მოსრა და დაიმორჩილა, და მოხარკე ჰყვნა ყოველი იგინი და დამშვიდდა ქართლი ოვსთაგან, ვინათგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 256ძ. ამის შემდეგ, ოსები მთელი ორი საუკუნე ამ სივრცეში არ მოიხსენიებიან.

**XVI საუკუნის მიწურულს რუსეთი იწყებს ჩრდილო-კავკასიელი ხალხების შევიწროებას და მათ შორის კონფლიქტების პროვოცირებას,** რის გამოც კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდობებზე მასობრივად სახლდებიან აბზუები, ოსები და ლეკები. კერძოდ, ოსები თანდათანობით სახლდებიან ქსნის ერისთავების, მაჩაბლების, ამილახვრების და ციციშვილების კუთვნილი მამულების ჩრდილოეთში როგორც ხიზნები. ამის გამო, უკვე XVII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება ტერმინი „სამხრეთელი ოსი“. ოსებისგან განსხვავებით, აბზუებს თავისი სახელი არ შეუნარჩუნებიათ, რადგან ისინი მასობრივად შეერივნენ ადგილობრივ მოსხებს იგივე მესხებს, რის შედეგადაც მოხდა სახელების „მოსხის“ და „აბზუას“ შეუღლება და მივიღეთ ეთნონიმი ა-მასხი, მოგვიანებით ა-ბასხი, აბხასი, და ბოლოს აფხაზი (თუმცა ოსებთან შედარებით, მესხების და აბზუების ასიმილაციის პროცესი უფრო ადრეულ ხანიდან იღებს სათავეს. იხ. *Нико Мари, История термина „Абхаз“, М.,Л., 1938, с. 44-52ძ.*

დროის ამ მონაკვეთში, ცხინვალის რაიონში, და თავად ცხინვალში, ოსი საერთოდ არ მოიხსენიება. **1914 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული კამერალური აღწერის თანახმად მხოლოდ ჯავის რაიონის მთიან ნაწილში 28 ოსი ოჯახი მოიხსენიება.**

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1922 წლიდან. **1922 წლის დასაწყისში სტალინი მოსკოვიდან საქართველოს ბოლშევიკების თავკაცს ბუდუ მდივანს ურეკავს და აცნობებს, რომ გადაწყდა ოსებისთვის ავტონომიური ოლქის შექმნა და მათთვის დედაქალაქის შერჩევას ავალებს.** 1922 წლის ზაფხულში სტალინი განმეორებით ურეკავს ბუდუ მდივანს და უმოქმედობას საყვედურობს. ბუდუ მდივანი ატყობინებს, რომ „დედაქალაქის შერჩევა სჭირს, რადგან ოსები ძირითადად მთებში ცხოვრობენ. ერთადერთი მსხვილი დასახლებული პუნქტი ცხინვალია, მაგრამ იქ თითო-ოროლა ოსური ოჯახი თუ მოინახება“. მიუხედავად ამისა, **სამხრეთ** ოსეთის ოლქი მაინც შეიქმნა(!ძ

შემდგომი პერიოდი მოიცავს ოსების მასობრივ და ინტენსიურ ჩასახლებას ცხინვალის რაიონიდან დაწყებული ბორჯომის მთელ ხეობაში ვიდრე ბაკურიანამდე ჩათვლით.

**ბიძინა სავანელი,**
**პროფესორი**

◎ გულის ბუხარი

*არც პოლიტიკოსი ვარ, არც პოლიტოლოგი და არც ექსპერტი, ქვეყანაში შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით ამ ფარსი არჩევნების შემდეგ წარმოქმნილი პრობლემები რომ გავაანალიზო და ის უიმედობის მძიმე ბურუსი გავფანტო, თავს რომ დაგვწოლია.*

*მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ და ვცდილობ, ვიყო სამშობლოს, ჩემი ერის რიგითი ჯარისკაცი, მათს სატკივარ-საფიქრალს მიყურადებული, და გადაუჭარბებლად ვიტყვი, ისე, როგორც ჩემამდე ათასებს, ასი ათასებს გაუკეთებიათ, მეც მზად ვარ, უშურველად გავიღო ჩემი წილი სიცოცხლე, თუ მამულს დასჭირდება. ეს ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1956 წლის 9 მარტს სასწაულებრივ გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ მიტინგებსა და საფრთხეს არც 9 აპრილს გავრიდებივარ და შემდგომ თბილისში გამართულ უამრავ მიტინგშიც მიმიღია მონაწილეობა. ერთხელაც რეზინის ტყვიანაგემი და საწამლავნაყლაპი შინ ძლივს დავბრუნდი.*

*ვინც მე მიცნობს, ჩემში არ დაეჭვდება, რადგან ცხოვრებამ სიხარულზე მეტი ტკივილი მარგუნა, მაგრამ არ გავტეხილვარ, ამას თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, გთხოვთ.*

## „სამშობლო დედის ძუძუ“...

**მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მეორე კლასის მოსწავლე ვიყავი, მამაჩემი სკოლის დირექტორი კი იყო და ჯავშანი იცავდა, მაგრამ მაინც წავიდა ფრონტზე.**

პატარა ბიჭი ერთიმეორის მიყოლებით ვაცილებდი ფრონტზე ბიძებს თუ ბიძაშვილებს, ახლო ნათესავებს, მეზობლების ტალიკ-ტალიკ ბიჭებს... ჰოდა, მე მათგან ვისწავლე სამშობლოს სიყვარული, ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ქვეყნის ჭირი თუ სიხარული მაკისრებდა მომავალში...

დიახ, არც დედას, არც მამას, არც ბებიებსა და ბაბუებს, არც სხვა ვინმეს უთქვამს ჩემთვის, სამშობლო უნდა გიყვარდესო. ეს არც ჩემს მასწავლებლებს დასცდენიათ სკოლაში. მე ჩემი ქვეყნის სიყვარული მასწავლა იმ ისტორიამ, იმ ღირსეულმა წარსულმა, რომლის ხელთუქმნელ წიგნს თანდათან ვფურცლავდი, მასწავლა იმან, რომ დიდი წინაპარი, ქართული დამწერლობის შემქმნელი ფარნავაზი მყავდა, რომ ვახტანგ გორგასლის, მეფე ქუჯის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, ცოტნე დადიანის ჯიშისა ვიყავი. ჩემი უპირველესი მასწავლებლები იყვნენ რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი... მე თავზე მეხურა ვარსკვლავებით მოჭედილი მშობლიური ცა და გზას მიკვალავდა ქართული მზით გაბრდღვიალებული დღეები. ჩემი მწვანე ნაბდიანი მთების სურნელით გაჟღენთილი ჰაერი მაწოვებდა სამშობლოს სიყვარულის ძუძუს, ჩემი კამკამა წყაროები, მდინარეები და ის მიწა, რომელიც გაპოხილია სულ სხვა ჯიშისა და გენის, განსაკუთრებული ადათ-ტრადიციების შემოქმედი წინაპრების სისხლით და ძვლებით. იმ მიწაზე ფეხშიშველა სიარულისას შევიგრძენი ჩემი ქართველობა, ჩემი ქვეყნის შვილობა...

დიახ, მე და ჩემი ოზოლი ძმები და მილიონი ჩვენისთანა ვიზრდებოდით სამშობლოს მომავალზე, მის დამოუკიდებლობაზე მეოცნებენი. როცა დავფრთიანდით, დავვაჟკაცდით, გვასწავლეს, ანუ უმაღლესი უსასყიდლოდ დაგვამთავრებინეს, სამუშაოზე გაგვამწესეს, დაგვაოჯახეს, ცხოვრების გზა გაგვიხსნეს. მაგრამ ყოველივე ეს დღეს უკვე ბანალური ისტორიაა. და მეც, როგორც ჟურნალისტები იტყვიან, კალამი გამექცა, რომელიც სულ სხვა რამის სათქმელად მოვიმარჯვე.

# ჩვენ ხომ ერთი გვაქვს სამშობლო!

## ასე რამ შეგაძულათ საკუთარი ხალხი, ადამიანებო?!

ვიცი, დამაყვედრიან, კომუნისტების ნოსტალგია მოსძალებიაო, მაგრამ, არა ბატონებო,

## მე ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის უბედობა მტკივა!

**დიახ ბატონებო, სწორედ ასეა! არავითარი ნოსტალგია, მით უმეტეს, არავითარი საბჭოთა კავშირი, არავითარი ფუფუნება... ჩვენ მაშინ, სამნი თუ ოთხნი, სადმე „თვალს მოვერიდებოდით“ (მაშინ ხელისუფლებას ასი თვალი და ყური ება, თუმცა იმაზე ბევრად ნაკლები, რაც ვანოს და მის ბიჭებს ასხიათ) და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებაზე, მის წართმეულ, დაკარგულ ტერიტორიებზე ვფიქრობდით, ვბჭობდით, ერთი სადღეგრძელოც გვქონდა სურვილიანი — „დაგვეუთოვებინა“ ჩვენი მთები, რომ უფრო ვრცელი ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა.**

ერთხელ ასეთ ვიწრო სუფრაზე საოცარი რამ იწინასწარმეტყველა ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა პოეტმა, მწერალმა, პუბლიცისტმა, აწ განსვენებულმა დავით მჭედლურმა: ბიჭებო, სულ რაღაც ათ წელიწადში დამოუკიდებელი ქვეყნის შვილები ვიქნებითო.

ტანში გაგვცრა, აქეთ-იქით ვიხედებოდით, ხომ არავინ გვითვალთვალებსო, — ოღონდო, — დააყოლა შეყოვნების შემდეგ, — ჩვენ ერთმანეთს დავჭამთო.

არ ვიცი, ეს ღვთის შთაგონება იყო, მწერლის წინასწარმეტყველური ალღო თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტი ისაა, ეს რომ გაცხადდა. იმ სეროზის მონაწილენი დღესაც ცოცხლები არიან, დღესაც გვიკვირს, ეს რა იწინასწარმეტყველაო.

**დიახ, ბატონებო, მე მივსტირი არა კომუნისტურ წარსულს, არამედ ჩემი ხალხის უბედობას — დაკარგულ აფხაზეთს, სამაჩაბლოს, ასი ათასობით სამშობლოშივე დევნილს, ათი ათასობით ტრაგიკულად დაღუპულს, უამრავ ომში დაცემულს.**

1989 წლის აღწერისას საქართველოში 3 მილიონ 600 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობდა. დღეს მაგის ნახევარი რომ არა ვართ, ამას ვჩივი.

**მე ვჩივი და მივსტირი აგერ ხუთი წელია სახლიდან გადახვეწილ ჩემს ერთადერთ შვილს, მუსიკოსს,**



**წარმატებულ პედაგოგს, რომელიც იქ, უცხოეთში სხვის, ვინმე მილიონერის შვილს ზრდის, თავს ევლება, თავისი წამოჩიტული შვილიშვილების მოფერებას კი დღემდე ვერ ეღირსა.**

მე მტკივა ის სათაყვანო ქალბატონები, ოჯახების დედები, რომლებიც მიხრწნილ უცხო ბებრებს, ქალებს თუ კაცებს საპირფარეშოში ხელით დაატარებენ და ფსიქიკა აქვთ შერყეული.

**მე მაშფოთებს თუნდაც ჩემი ერთადერთი შვილიშვილის ბედი, ამ უმაღლესი განათლების მქონე ორი შვილის მამის ბედი, რომელმაც აქ სამსახური ვერაფრით იშოვა და ახლა კანადაში წასასვლელად საბუთებს ამზადებს.** ის იქ მისმა კლასელმა, საქართველოდან ხუთი წლის წინათ ასევე წასულმა ახალგაზრდა ინჟინერმა მიიწვია.

და განა მარტო მას... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

## „პარტია ჩვენი მესაჭეა“

**ერთმა დიდებულმა კომპოზიტორმა, თავის დროზე ასედაც უგალობა იმ პარტიას.**

**დღეს ნაცების პარტიასაც ხომ ჰყავს თავისი „ბულბულები“, მაგრამ ეს სხვა განსჯის თემაა.**

იმხანად ქვეყანაში ნიჭით, გონიერებით, ცოდნით გამორჩეული თუ ვინმე იყო, ყველა იმ პარტიის რიგებში უნდა მდგარიყო.

დღესაც ასეა, ოღონდ შებრუნებით (იქნებ ვინმეს გადაჭარბებად მოეჩვენოს, მაგრამ ასეა!): ქვეყნად თუ ვინმეა უვიცი, თავხედი, საქმეში გამოუსადეგარი, თავისი ხალხისა და ქვეყნის მოძულე, თითქმის ყველა ამ ბანდაშია გაერთიანებული და ერთად ყაჩაღობენ (რა თქმა უნდა, ბედნიერი გამონაკლისებიც არის!).

რისი სწავლა-განათლება! — წავლენ უცხოეთში, გაივლიან რაღაც ორ-სამთვიან სტაჟირებას (თუმცა არც ეს არის აუცილებელი!) და დაგიჯდებიან მინისტრებად, გუბერნატორებად, პარლამენტარებად, პროკურორ-მოსამართლედ.

რაც გინდა დამწამეთ. კომუნისტური პარტია, მიუხედავად თავისი ავტოკრატობისა, ამჟამინდელთან შედარებით, ეროვნულ საქმეს აკეთებდა. ეს სტალინმა ააშენა რუსთავქალაქი, თავისი სამრეწველო გიგანტებით, ქვემო ქართლში. უშველებელ ტერიტორიაზე, სადაც ქართული სიტყვის ჭაჭანება არ იყო, კარგად დასახლებული რეგიონებიდან ჩამოასახლა ქართული ოჯახები გარდაბნის, მარნეულის, დმანისის თავისუფალ, უფრო სწორად, მტერთაგან პირისაგან მიწისა აღგვილ ქართველთა ნასახლარებში. ზრუნავდა ერის გამრავლებაზე...

დღეს კი პირიქითაა. ვიმეორებ, 1989 წლის აღწერით ხუთნახევარმილიონიან ქვეყანაში 3 მილიონ 680 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობდა **და მაინც ერის გამრავლება სახელმწიფო პრიორიტეტად მიიჩნეოდა. დღეს ერი კატასტროფის წინაშეა. განახევრდა კი არა, უფრო ქვევით ჩამოვიდა და ისე ჩანს, ეს ამბავი ნაციონალებს დიდად ახარებთ, ყოველ შემთხვევაში, სულაც არ ანაღვლებთ.**

და კიდევ, კომუნისტებს ამომრჩეველთა მოქრთამვა არ სჭირდებოდათ, მიმდინარე წელს ჩატარებული არჩევნები კი ოდესმე ჩატარებულ არჩევნებთაგან ყველაზე საძაგელი, მოსყიდულ-მოქრთამული, ანუ თვალებში ნაცრის შემყრელი იყო. ორიოდე კვირით ქალაქიდან გასული ვიყავი. დაბრუნებულს ერთი ნაცნობი შემხვდა და სალმის ნაცვლად შემომღიღინა: „კვლავაც დღესასწაულობენ, გამარჯვებული მტარვალნიო“, დიდი მგოსანი გაიხსენა.

არც მეტი, არც ნაკლები, ეს ჩვენი ნაცნობი სახეები თითქმის უკლებლივ ყველა თავის თავის სავარძელში ჩამოსკუპებულა. ყველაფერი ისე ჩაკოხტავდა, ჰიტლერი რომ წამოაყენო, უდავოდ შეშურდებოდა.

## გაუმარჯოს ვაიოპოზიციას!

**კალამი არ მემორჩილება, ხელი არ მიმდის ამ ჩვენს გაბითურებულ ოპოზიციაზე აუგის სათქმელად, რაღაც იმედის სხივი მაინც ჭიატობს. თორემ ამ ქვეყანაში სიცოცხლე არ ეღირებოდა. ერთმა, პოლიტიკაში არც თუ ისე გარკვეულმა ძმაკაცმა ჯერ კიდევ ადრე თქვა, ამ ალასანიას ბერძენიშვილები, უსუფაშვილები და მათნაირები ჩაძირავენო. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ. სხვები, სხვები და სხვები ისევ მუშტებს იქნევენ, ისევ იმუქრებიან.**

ნონა გაფრინდაშვილს, ჩვენი ერის საამაყო, სასიქადულო შვილს, დიდი ეროვნული სულის მატარებელს მივმართავ: **ქალბატონო ნონა, იქნებ თქვენ ითამაროთ, იმაიაწყნეთელოთ, გაგვიძეხით, ისე როგორც ჭადრაკში აცამტვერებდით მოწინააღმდეგეთ, ახლაც გაგვიმამაცურდით! მჯერა, უფალი მოგცემთ ძალას, ჩვენ თქვენთანა ვართ ყველანი!**

**და კიდევ, უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გვიცოცხლოს და გვიძლიეროს უფალმა.**

გივი ჯახუა

***P. S.* ჩვენ ერთი ქვეყანა გვაქვს, ერთი სამშობლო, რით ვერ გაიგეთ, ადამიანებო (მკითხველი მიმიხვდება, ვისაც ვგულისხმობ!). ვისი ძუძუ გიწოვიათ, რა შხამი და გესლი გიდგათ ძარღვებში. ასე რამ შეგაძულათ საკუთარი ხალხი. მარტო გზები და შადრევნები კი არა, ქარხნები გვჭირდება, აყვავებული სოფელი, ხალხს დასაქმება სჭირდება. განა მკვლელობა არ არის ქვეყნის სამრეწველო გიგანტების განადგურება, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოშლა! ეს ხომ ერისათვის დანის ზურგში ჩაცემის ტოლფასია.**

*გ. ჯ.*

◎ აკადემია

# ბრინჯაოდ დაბრუნება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სათუთად ინახავს თავისი წევრების ხსოვნას. სისტემატურად იმართება განსვენებულთა საიუბილეო თარიღების აღსანიშნავი სხდომები, აკადემიის შენობის მესამე სართულის დერეფანი აკადემიკოსთა ერთგვარ მემორიალადაა გადაქცეული: კედლებიდან გადმოგვყურებს ცხოვრებიდან წასული ყველა ნამდვილი წევრის გადიდებული ფოტოები.**

სხვადასხვა სართულზე ვხვდებით აკადემიის სამი გარდაცვლილი პრეზიდენტის — აკადემიკოსების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა და ევგენი ხარაძის ბიუსტებს.

რამდენიმე თვის წინათ მოსკოვში ალესრულა აკადემიის მეოთხე პრეზიდენტი, მსოფლიო სახელის ფიზიკოსი, აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე; და აი, ამ დღეებში ის, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მადლიანი მარჯვენით ბრინჯაოში ჩამოსხმული, სამუდამოდ დაუბრუნდა მშობლიურ აკადემიას. მისი ბიუსტი მეორე სართულზე დაიდგა, აკადემიის მესამე პრეზიდენტის ევგენი ხარაძის ბიუსტის მეზობლად. ავტორს კარგად დაუჭერია ბატონი ალეკოსათვის დამახასიათებელი პოზა: ასე ყურადღებით უსმენდა, მარჯვენა საფეთქელთან ხელმიტანილი, დაფასთან მდგარ მომხსენებელს...

თამაზ ებანოიძე

◎ ინფორმაცია

## სტიქიამ დუშეთს შეუტია

**დუშეთის რაიონის სოფელ ზემო მლეთაში ადიდებულმა არაგვმა საცხოვრებელი სახლები დატბორა. უსახლკაროდ დარჩა სამი ოჯახი და მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა კიდევ ხუთ ოჯახს.**

**განადგურებულია ნათესები და საკვების მარაგი.**

**სტიქიის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა ნათესავებთან გაიხიზნა. ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისგან დროებითი საცხოვრებელი ადგილის გამოყოფას ითხოვენ.**

ХО-ЭОВ-ЭБО

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რაკეტები საიდუმლოებებით

**უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობისდროინდელი საიარაღო მაქინაციების გამოკვლევები შეივსო ახალი დაწვრილებითი მასალებით. გამოძიებამ გამოავლინა, რომ „უკრთავდაცვასერვისის“ ხელმძღვანელობამ შუამავლის მეშვეობით არა მხოლოდ შეისყიდა 48 საზენიტო რაკეტა თავისივე თავისგან, არამედ ისესხა კიდეც ამისთვის ფული უკრაინის ერთ-ერთ ბანკში. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ამ გზით მიღებული საბრძოლო მასალები სარაკეტო კომპლექს „ბუკისთვის“ გადავიდა საქართველოში**

საქმე უკრაინის მიერ საქართველოსთვის საზენიტო რაკეტების მიწოდების შესახებ, რასაც კიევი იკვლევს, იძენს ახალ დეტალებს.

ადრე გამოძიებამ შეძლო გამოერკვია, რომ „უკრთავდაცვასერვისმა“, ფაქტობრივად, თავისი თავისგანვე შეისყიდა საქართველოსთვის მიყიდული 48 საზენიტო რაკეტა კომპლექსებისთვის „ბუკ-მ-1“ და „ბუკ-მ 1-2“, რითაც მიიღო სხვაობაში თითქმის მილიონი დოლარი.

გარიგება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო კომპანიამ თავდაცვის სამინისტროსთვის შეისყიდა მართული რაკეტები, მოხდა ჯერ კიდევ 2005 წელს და ეს ბიუჯეტს დაუჯდა 21,2 მილიონი გრივნა.

მიმდინარე წლის მაისში უკრაინის სახელმწიფო პროკურატურის მიერ დაწყებული გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის კომპანია-შუამავალს არ ჰქონდა არც ერთი მისთვის მიყიდული იარაღი, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რაკეტების გაყიდვის წინა მომზადებისთვის, ლიცენზიაც კი საბრძოლო მასალების რეალიზაციაზე.

პროკურატურის თანამშრომლების მონაცემებით, ერთი წლის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ მონახა გამოსავალი, შეისყიდა რაკეტები თავად „უკრთავდაცვასერვისისთვის“ მისაყიდად, შემდეგ კი თითქოსდა გაყიდვის წინა მომზადებისთვის, უკანვე მიჰყიდა იგი და თანაც 8 მილიონ გრივნაზე ძვირად.

ამჟამად გამოძიებამ გამოარკვია, რომ ფიქციური შესყიდვის დროისთვის თავად შუამავალსაც არ ჰქონდა საფინანსო სახსრებიც კი გარიგების განხორციელებისთვის. როგორც საფინანსო დაწესებულების წყარომ გვაცნობა, პროკურატურის გამომძიებლებმა უკვე მოახერხეს დოკუმენტების ამოღება სახსრების დამატებითი მოძრაობის შესახებ საბანკო ანგარიშებზე.



ადრე კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ ნება გასცა საბანკო საიდუმლოების გამჟღავნებაზე, აგრეთვე კონფიდენციალობის მოხსნის შესახებ საკრედიტო საქმის ყველა დოკუმენტზე, რომელიც შეეხებოდა სამეცნიერო-საწარმოო ფირმის მიერ სესხის მიღებას.

აღვნიშნავთ, რომ ჯერჯერობით მთავარ ბრალდებულებად ამ საქმესთან დაკავშირებით გადის შუამავალი კომპანიის ორი ხელმძღვანელი, რომლებიც არ აღიარებენ თავიანთ დანაშაულს და ცდილობენ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება სისხლის სამართლის აღძვრის შესახებ. „კერძო კომპანიის წარმომადგენლები, რომლებმაც დაარღვიეს სამეურნეო საქმიანობის წარმოების წესი, ასაჩივრებენ დადგენილებას საქმის აღძვრის შესახებ. იმედი გვაქვს, ამ შუამდგომლობას სასამართლო უარყოფს და გამოძიება მივა ლოგიკურ ფინალამდე“, — დაადასტურა ამას წინათ უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილემ რენატ კუზმინმა.

მისი სიტყვებით, ყველა ბრალდებას საქართველოსთვის იარაღის უკანონო მიყიდვის შესახებ უარყოფენ ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს სამდივნოში, მიუთითებენ იმაზე, რომ სინამდვილეში გარიგების დადების მომენტისთვის, რაც მოხდა აგვისტოს ომამდე ერთი წლით ადრე, თბილისთან დაკავშირებით საიარაღო ემბარგო არ არსებობდა.

პირველად ამგვარი ბრალდებანი კიევის მისამართით გაისმა რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მალე 2008 წლის საქართველო-ოსეთის კონფლიქტის შემდეგ.

შემდგომ მონაცემები უკრაინის იარაღის საქართველოში მიწოდების შესახებ დაადასტურა უმაღლეს რადაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ. „არის გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება უკრაინის პრეზიდენტის დავალებას საჰაერო თავდაცვის თანამედროვე კომპლექსის მიყიდვის შესახებ. ეს მოწმობს იმის შესახებ, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იცოდა საქართველოს სამხედრო ოპერაციის დროის შესახებ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ“, — განაცხადა თავის დროს კომისიის ხელმძღვანელმა ვალერი კონოვალიუკმა.

ოლგა გრიცენკო

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ჰილარი კლინტონი კავკასიაში მიემგზავრება

**საქართველო მალე გამოაქვეყნებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო მოწესრიგების ახალ კონცეფციას და დასავლეთის დახმარების იმედი აქვს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ჩავა გერმანიაში. მაგრამ მთავარი იმედები მყარდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტზე, რომელიც დანიშნულია, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, ივლისის დასაწყისისთვის**

თარიღი არ ზუსტდება უშიშროების თვალსაზრისთან დაკავშირებით, მაგრამ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ კლინტონი ჩავა თბილისში 7 ივლისს. იგი აგრეთვე ჩავა უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

აპრილში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბირთვული უშიშროების სამიტზე, მაგრამ ბარაკ ობამასთან აუდიენცია არ აღირსეს. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ ჰი-



ლარი კლინტონი „მიიღებს პირად შთაბეჭდილებას“ საქართველოში ხილულიდან და მოახდენს ზოგიერთი მიდგომის კორექტირებას. ამის შესახებ განაცხადა პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ. აი, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა კი შეგვახსენა, რომ დასავლელი პარტნიორები ურჩევენ საქართველოს, უწინარეს ყოვლისა, მოაწესრიგოს ურთიერთობანი რუსეთთან.

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

# ურთიერთობათა გადაწყობის მსხვერპლი

**ვაშინგტონის გადატვირთვას მოსკოვთან ერთი აშკარა მსხვერპლი ჰყავს: საქართველო. აშშ დაჟინებით ამტკიცებს, რომ ის კვლავინდებურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ვაშინგტონმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია „აღარ უნდა განიხილებოდეს ხელისშემშლელ ფაქტორად“ იმ ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესში, რომელიც მშვიდობიანი ატომის სფეროში თანამშრომლობას ეხება და რომელიც თავდაპირველად 2008 წელს, საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ განიხილებოდა**

და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ვერ შესძლო მეამბოხე რეგიონების დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება, აშშ-ს მზარდი სიახლოვე მოსკოვთან რეალურად ბეჭედს ასვამს საქართველოს დანაწევრებას. რუსეთი, როგორც სჩანს, ამას ასეც აღიქვამს: საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამას წინათ დუმას განუცხადა, რომ 2009 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის დადებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია „აშშ-ს წარსული პოლიტიკის რელიქტია“.

მოსკოვთან ნატოც დათბა და თბილისთან გაცივდა. ნატო-საქართველოს კომისიას, რომელიც 2008 წლის სექტემბერში შეიქმნა, არ დაუწესებია გაწევრების ის მიზნები, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს. ეს კი იმის ცხადი ნიშანია, რომ ალიანსი არ ჩქარობს საქართველოს გაწევრებაზე ლაპარაკს. უფრო მეტიც, საფრანგეთი რუსეთისთვის იმ თავისი საბრძოლო გემების მიყიდვას აპირებს, რომლებსაც რუსეთი აფხაზეთის დასაცავად გამოყენებას აპირებს. ისეთი ძველი მეგობრებიც კი, როგორებიც არიან პოლონეთი და ბალტიისპირეთი და რომლებიც ერთ დროს ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ხმამაღლა ყვიროდნენ, ახლა, როგორც ჩანს, ვაშინგტონის უკუსვლამ ნატოს ექსპანსიასთან და სარაკეტო ფართან დაკავშირებით, ამ მოვალეობისგან გაათავისუფლა.

საბოლოოდ ეს თბილისს იზოლაციაში სტოვებს. ძველი მეგობრები, რომლებიც ერთ დროს საქართველოს მტრის საზღვართან სტრატეგიულ თავდაცვით ადგილად განიხილავდნენ, ახლა მას უფრო ხელისშემშლელად აღიქვამენ — ისინი მოსკოვს უგზავნიან სიგნალს, რომ დიპლომატიური გარიგებები ურჩევნიათ რუსეთის სამეზობლოდ კონფლიქტებში გახვევას.

ოუენ მეთიუსი

Newsweek

## დედამიწის ზურგზე




**სტამბოლში ავტობუსი, რომელშიც სამხედროები ისხდნენ, ააფეთქეს ფიჭური ტელეფონის დახმარებით: დაიღუპა 3 კაცი**

წინასწარი მონაცემებით, გზის პირას დატოვებული იყო პაკეტი ასაფეთქებელი მოწყობილობით. აფეთქების მოწყობის მოტივების შესაბამისად, მის უკან, ალბათ, დგანან ქურთი სეპარატისტები, მიაჩნიათ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. დაღუპულთა შორის ერთი ბავშვია.

**ამერიკელმა მოსწავლეებმა მარსის ზედაპირზე აღმოაჩინეს საიდუმლო გვირაბი**



კალიფორნიის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა აღმოაჩინეს საიდუმლო ხვრელი წითელი პლანეტის სურათზე. მეცნიერთა აზრით, ეს არის გვირაბი, რომელიც დატოვა ლავის ნაკადმა ამოფრქვევის შემდეგ.

**82 წლის რუსეთელ ანტონოვას გადმოიყვანენ ფინეთიდან, მიუხედავად სტრასბურგის თავდებობისა**




ფინეთის მოქალაქემ ნატალია კიაიარიკმა, ირინა ანტონოვას ქალიშვილმა განაცხადა, რომ „იძულებულია გამოიყვანოს საავადმყოფოდან ხანდაზმული ქალი, ვინაიდან მისი აზრით, ფინელი ექიმები არ უწევენ მას დახმარებას სრული მოცულობით“. კიაიარიკს მიაჩნია, რომ მისი დედისთვის უმჯობესი იქნება, იყოს რუსი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

**პირველი გადადგომები ობამას ადმინისტრაციაში: ერთმა ჩინოვნიკმა გადაწყვიტა ცოლი შეერთო, მეორემ — მოიწყინა ბავშვების გამო**



მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, პირველი, ვინც პოსტს დატოვებს, გახდება თეთრი სახლის მართვისა და ბიუჯეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პიტერ ორზაგი. მას შეუძლია გამოაცხადოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ რამდენიმე კვირის შემდეგ. ჟურნალისტები ვარაუდობენ აგრეთვე ობამას კანცელარიის ხელმძღვანელის რემ ემანუელის გადადგომას, მაგრამ არაუადრეს 6-8 თვის შემდეგ, როდესაც მედვედევი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მასთან მედვედევს განზრახული აქვს განიხილოს, უწინარეს ყოვლისა, საკითხი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების შესახებ.



გუშინ, დღეს, ხვალ...

# ადამიანი ბრძმლფეხა ციკლოპი გახდება

## რუსი მეცნიერის სენსაციური თეორია ოქსფორდში ოქროს მედლით შეაფასეს

*ალექსანდრ ერმოლენკოს უცხოეთში მეორე რუს გრიგორი პერელმანს უწოდებენ, მხოლოდ ბიოლოგიის დარგში. მისი ნაშრომების პუბლიკაციები ჟურნალებში* **„Nature“** *და* **„news scintiste“** *მუდმივად ფურორს ახდენენ სამეცნიერო სამყაროში, ხოლო სენსაციური თეორიისთვის ხერხემლიანთა წარმოშობისა და კიდურების ევოლუციის შესახებ მას მიენიჭა ოქსფორდის ოქროს და ვერცხლის მედლები.*

*მისი გვარის გასწვრივ ახლახან გამოცემულ ბრიტანულ ცნობარში „XXI საუკუნის 100 გამოჩენილი მეცნიერი“ არის განმარტება — თიხისგან ადამიანის წარმოშობის ღვთიური თეორიის და ჩარლზ დარვინის „მაიმუნის“ თეორიის გაერთიანების ყველაზე მეცნიერული ვარიანტისთვის. აღმოჩნდა, რომ ჩვენს წინაპართა შორის არიან თიხაც და მაიმუნიც.*

**კრეაციონისტებსა და დარვინისტებს შორის დავაში ერმოლენკო არის თავისიანი უცხოებშიც და უცხო თავისიანებში. პირველები, მისი აზრით, არასწორად განმარტავენ ბიბლიას, მეორეებმა კი გააკეთეს არასწორი დასკვნა დაგროვილი უზარმაზარი სამეცნიერო მასალებიდან.**

— **დარვინმა** ერთმანეთში აურია მიზეზი და შედეგი, — თავში ხელს იცემს მეცნიერი. — როცა განიხილავდა ბუნებრივ შერჩევას, ცხენი ურმის წინ დააყენა. მიიჩნია, რომ ჟირაფს ასეთი გრძელი კისერი იმიტომ აქვს, რომ უნდა მიწვდომოდა ფოთლებს მაღალ ხეებზე. და გადარჩნენ ისინი, ვისაც გრძელი კისერი ჰქონდა. მისი აზრით, ბუებმა დაიწყეს კარგად მზერა ღამით, ვინაიდან უეცრად დაიწყეს ნადირობა ამ დროს. აიო, ყოფის გარემომ გენეტიკურად



ალექსანდრ ერმოლენკოს უცხოეთში გენიოსს უწოდებენ, რუსეთში კი არავინ იცნობს

გაუმყარა მათ ეს ნიშანი. მეცინება, როდესაც ვკითხულობ, თუ როგორ აღწერენ ბიოლოგები თევზების გამოსვლას ხმელეთზე და მათთვის თათების გაჩენას! მიმდინარეობდა კემბრიის პერიოდი. იყო ხან გვალვა, ხან წყალდიდობა. და, როდესაც წყალსაცავები შრებოდა, თევზებს სჭირდებოდათ გადასვლა სხვა წყალსაცავებზე. ისინი, ვინც შეძლო გადასულიყო იქ თავის დაგრძელებულ ფარფლებზე, გადარჩნენ. შემდეგ ბუნებრივი შერჩევის გზით მათ გაეზარდათ ფეხებიო. ეს ნატურალური სისულელეა. თუნდაც რომელიმე თევზი გადამხტარიყო ერთი წყალსაცავიდან მეორეში, ეს არ არის საფუძველი, რომ მის შვილებს ფეხები გაეზარდოს. დარვინისტები არღვევენ თავის მთავარ კანონს — შეძენილი თვისებები მემკვიდრეობაში არ გადადის. ებრაელთა ასეულობით თაობა იკეთებს წინდაცვეთას, მაგრამ კვლავ ასეთებად იბადებიან. რა, თევზი ებრაელებზე უფრო ჭკვიანია? არ მჯერა!

**— თქვენი თეორიით ჯერ ხდება გენეტიკური შეფერხება და ხდება რაღაც ცვლილებები ქრომოსომაში, შემდეგ კი ამის შესაბამისად ცხოველი ცდილობს შეეგუოს ცხოვრებას. მაგრამ ყოფის გარემო და ბუნებრივი შერჩევა აყალიბებენ სხვადასხვა სახეობებს, მუტაციებსაც კი. მაგალითად, იბადება მხეცი ცუდი მხედველობით და რომ გადარჩეს, მიძვრება მიწაში. ეგუება და იძლევა თხუნელების თაობას თავისი ქრომოსომების შესაბამისად. დარვინიზმი, მხოლოდ პირიქით.**

### ბუნებას მიზნები არ გააჩნია

— დიახ. როგორ ეგუებიან ცხოველები გარემოებუნებას, ეს უკვე მათი საქმეა. ორგანოები ჩნდება და ქრება მოთხოვნილებისა და დატვირთვისგან დამოუკიდებლად. და მაგალითად, ფილტვის წარმოქმნის საბაბი არ არის საბაბი იმისთვის, რომ არსებამ იცხოვროს ხმელეთზე. არიან ორმაგად ფილტვებით მსუნთქავი თევზები, ცხოვრობენ ოკეანეში და არც აპირებენ ხმელეთზე ამოსვლას. ნაპირზე კი ხეებზე ცხოვრობენ გველთევზები და ლოქოები. უკუქცევის დროს არ მიცურავენ, არამედ ეწეპებიან ტოტებს და სუნთქავენ კანით — ფილტვები მათ არ გააჩნიათ.

**— მაშ, როგორ გამოვიდნენ თევზები ხმელეთზე და გადაიქცნენ ძუძუმწოვრებად?**

— თევზების ხმელეთზე გამოსვლის საბაბი გახდა კიდურების დაგრძელება. ფეხები ისე იზრდებოდა, რომ წყალში ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა ნაპირზე გამოსვლა. თანაც გამოდიოდნენ ისინი ერთბაშად პლანეტის სხვადასხვა ადგილზე. და სხვადასხვაგვარად ხდებოდა მათი მუტირება. თითქმის ერთდროულად. და არავითარი ბუნებრივი შერჩევა საჭირო აღარ არის. თუ დავუჯერებთ ევოლუციონირებას პრინციპულად, მაშინ როგორღა განვმარტოთ, რომ ჩიტებმა დაკარგეს კბილები. კბილებით ხომ უფრო მოხერხებულია ჭამა, ვიდრე ნისკარტით. დაუცვივდათ კბილები იმიტომ, რომ შეიცვალა გენეტიკური მასალა. ის მასალა, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა კბილები, დაიკარგა.

სწორედ ამიტომ არ შეუძლიათ დარვინისტებს მონახონ გარდამავალი ფორმები ერთი სახეობიდან მეორეზე. ისინი საერთოდ არ ყოფილან. ორგანოები ჩნდებოდნენ და იკარგებოდნენ თავისთავად, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე. აი, მიპასუხეთ შეკითხვაზე: რისთვის სჭირდება ადამიანს წარბები? სოკრატე გვარწმუნებდა, რომ ოფლი არ მოხვედრილიყო თვალში. მაგრამ ვინც ოფლის ღვრამდე მუშაობს ან მისდევს სპორტს, იცის, რომ წარბები ოფლისთვის დაბრკოლება არ არის.

არის ძველი რუსული ზღაპარი მელაზე, რომელიც გარბოდა ძაღლისგან, შეძვრა სოროში და დაიწყო საუბარი თავისი სხეულის ნაწილებთან. თათები შეაქო იმისთვის, რომ მათ დევნისგან გადაარჩინეს იგი, კუდი კი, რომელიც ხელს უშლიდა სირბილში, ტოტებს ედებოდა, გალანძღა. და სწორადაც მოიქცა, მას იგი არ სჭირდება. არ შეეძლო ევოლუციას მიეცა მისთვის არასაჭირო ორგანო. ასევე თხისთვის არ შეეძლო მას მიეცა წვერები. ბუნებას მიზნები არ გააჩნია.

### დინოზავრების მემკვიდრეები

**— მაშ, საიდანღაა ყოველივე ცოცხალი დედამიწაზე?**

— არაცოცხალიდან, უფრო სწორად, არაუჯრედოვანიდან. ბიბლიაში ყველაფერი სწორად არის დაწერილი. თიხიდან. თიხები — კრისტალური სტრუქტურებია, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთმოქმედება ამინომჟავებთან. ისინი დიდი ოდენობით წარმოიქმნებოდა დედამიწაზე კომეტებისა და მეტეორიტების მოხვედრის დროს. ისინი ძველ დროს, როდესაც დედამიწა არ იყო დაცული ატმოსფეროსგან, ცვიოდა ძალიან ბევრი. ამინომჟავეები გროვდებოდა და რეაქციაში შედიოდა კრისტალების ზედაპირულ ფენასთან. აი, ქრომოსომაც. მასვე კრისტალებს უწოდებენ.

**— შემდეგ როგორღა იყო?**

— თვითშეჩერება. ჩვენ მოვდივართ ღია მწვანე წყალმცენარეებიდან, შოლტისებრებისგან. ხერხემლიანები წამოვიდნენ ორი რგოლის შეერთებიდან, რომელთაგან ერთი შედგებოდა შოლტისებრთა ხუთი სეგმენტისგან, მეორე — რვისგან. ადამიანის ორგანიზმში ყველაფერი იყოფა ხუთზე და რვაზე. ამიტომ ცამეტი მე ადამიანისთვის ბედნიერ რიცხვად მიმაჩნია. ქრისტეს მოციქულებიც ხომ ცამეტი იყვნენ.

შოლტისებრებმა შექმნეს გავრცელების დიდი რადიუსი უმალვე. ყველა ორგანიზმი, როგორც ბიბლიაში არის აღნიშნული, ვითარდებოდა ერთბაშად და პარალელურად. მხოლოდ, რასაკვირველია, არა ერთი დღის განმავლობაში. განვითარების საერთო პროცესი პლანეტაზე ყველგან მიმდინარეობდა ერთნაირად. უბრალოდ, ცხოვრების პირობები — სითბო, სინათლე, საკვები — ყველას სხვადასხვანაირი აქვს.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ჯილდო მე მივიღე ჩონჩხის სტრუქტურული ორგანიზაციის აღწერისთვის. განვმარტე ორგანოების რაოდენობრივი არსებობა. მაგალითად, რატომ აქვს ადამიანს ხუთი თითი? სხვათა შორის, ადამიანს გენეტიკურად ხელზე რვა თითი უნდა ჰქონდეს და ფეხებზე კი ხუთ-ხუთი. და შეიძლება ჩვენ აქამდე მივალთ. ჩვენი წინაპრები, ხმელეთზე მოსიარულენი, იყვნენ სწორედ ასეთები. თავდაპირველად მე სასაცილოდ ამიგდეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისლანდიაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს უძველესი ხმელეთის ცხოველების ნამარხები, აკანტოსტეგები, რომლებსაც კარგად ჰქონდათ შენარჩუნებული ჩონჩხი, მათ წინა კიდურებზე ჰქონდათ რვა თითი.

თუ ჩონჩხის ჩამოყალიბებას შევხედავთ, ჩვენ გვყავდა საერთო ნათესავი ნიანგთან.

**— მაიმუნები როგორღა?**

— მაიმუნებთან ერთად ჩვენ ვიყავით მთლიანი, ერთიანი. ჩვენი საერთო წინაპრები — უკვე ხმელეთის ცხოველები და დინოზავრები — ყოველთვის დადიოდნენ ორ ფეხზე და არა ოთხზე და არასოდეს უცხოვრიათ ხეებზე. შემდეგ უკვე მაიმუნები აძვრნენ ხეებზე. მაიმუნებს ხომ თითები წაგრძელებული აქვთ არა იმისთვის, რომ ტოტებს ჩამოეკიდონ. ის თავიდანვე გახდა ასეთი და მაიმუნებმა გამოიყენეს ისინი ხეზე სიარულის დროს.

**— გაუგებარია დინოზავრების შესახებ. რა, ისინი ჩვენი წინაპრები არიან?**

— რასაკვირველია. თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი გადაშენდნენ ასტეროიდების ჩამოცვენის შემდეგ. თითოეული დინოზავრი გადაიზარდა შესაბამის ძუძუმწოვარში. ყველა მეცნიერი დავობს, სად წავიდნენ ნეანდერტალელები, საიდან გაჩნდა კრომანიონელი, ისინი ხომ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. თანაც კრომანიონელი უბრალოდ გაიზარდა ნეანდერტალისგან, ისინი კი თანდათან გადაშენდნენ.

გარკვეულ მომენტამდე ჩვენ ვიყავით ერთმთლიანი მაიმუნებთან ერთად. შემდეგ მოხდა ევოლუციონირება მუტაციის მსვლელობაში, მრავალი მუტაციის დროს. მივიღეთ ბუნების შემოქმედება.

და ადამიანის ევოლუციონირება მოხდა არა აფრიკაში, როგორც ამბობენ, არამედ ერთდროულად მთელს პლანეტაზე. განა დადასტურება არ არის, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნების ოთხი ტიპი — ორანგუტანგი, გიბონი, შიმპანზე და გორილა — შეესაბამებიან ადამიანების ოთხ რასას?! ავსტრალიური რასა გიბონების მონათესავეა. აზიური რასები — ორანგუტანგებისა. ევროპელები — შიმპანზესი. აფრიკელები — გორილებისა.



ევროპელთა წინაპარი — შიმპანზე



აფრიკელები გორილებიდან წარმოიშვნენ



ავსტრალიელი აბორიგენები გიბონთა შთამომავლები არიან



აზიელები თავის წარმოშობას ორანგუტანგებს უმადლიან

**რუსული პრესის მასალებზე დაყრდნობით**

მოგვაწოდა
**გურამ მიქაბერიძემ**



ფეხბურთი

# კოკამ წყალი აღარ მოიტანა

**შვეიცარიული ბოქლომი გატეხილია. არ გეგონოთ რაიმე კრიმინალურ ფაქტზე ვსაუბრობდეთ – ამჯერად თქვენს ყურადღებას ოტმარ ჰიტცფელდის მიერ გაწვრთნილი ალპური სახელმწიფოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების პირველ სამუნდიალო წაფორთხილებაზე გავამახვილებთ.**

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური რაუნდის სტარტზე გუნდმა-გამოცანამ სივრცეები გადაუკეტა სამხრეთ აფრიკაში ფავორიტის სტატუსით ჩასულ ესპანურ არმადას და ეშელონირებული დაცვით სენსაციური მარცხიც აგემა – 1:0.

ასეთივე ტაქტიკით სცადეს ნეეშლებათ ბუზის სპილოდ მოჩვენება.

აქედან მოყოლებული, ევროპელებმა ისედაც დახუნძლული უკანა ხაზი ლამის შეუვალ ბასტიონად აქციეს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ტექნიკურმა ლათინოსებმა ანტიფეხბურთის მიმდევრებს ბურთი დაუმალეს და 75-ე წუთზე ხანგრძლივი ალყა ლოგიკურადაც დაასრულეს – ტოტალური შტურმი ზუსტი თავური დარტყმით სარბიელზე რამდენიმე წუთით ადრე შემცვლელად შესულმა მოსკოვის ცსკას ლეგიონერმა მარკ გონსალესმა დააგვირგვინა – 1:0.

იმავე დღეს გოლის გემო ესპა-



იტრალური ქვეყნის წარმომადგენლებმა სასურველი შედეგის მიღწევა მეორე ტურის მატჩში მათსავით სამი ქულის მქონე ჩილელებთანაც, მაგრამ კოკამ წყალი აღარ მოიტანა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი არაბმა მსაჯმა ჰამიდ ალ გამდიმ შეიტანა. საუდეთის ქვეშევრდომმა უკვე 30-ე წუთზე გააძევა მინდვრიდან ბეჰრამი, რომელმაც ზედიზედ ორ მეტოქეს მოუქნია იდაყვი, სამხრეთამერიკელებს კი, მშვენივრად მოგეხსენებათ, არ

ნელთა სნაიპერმა დავიდ ვილიამ გაიხსენა, რომელმაც ჰონდურასელებთან „დუბლი“ შეასრულა – 2:0, ხოლო ამის შემდეგ პენალტიდან ბურთი კარს ააცილა, ხოლო პორტუგალიამ წლევანდელი ფორუმის რეკორდი დაამყარა და ჩრდილოეთკორეელებს, იქაური პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნების პრობლემა შეუქმნეს – 7:0 (მეირელეში, სიმაო, ალმეიდა, ლიედსონი, რონალდო, ტიაგო – 2ძ.

რაგბი

# მეჩვიდმეტეზე ჩამოვქვეითდით

**ბუქარესტში IRB-ის თასის გათამაშებაზე, როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიას კი მოუგო, მაგრამ იტალიასთან და ნამიბიასთან დამარცხდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბორჯღალოსანთა მსოფლიო რეიტინგზე: ჩვენი გუნდი 66,38 ქულით მე-17 საფეხურზე ჩამოქვეითდა, ხოლო ნამიბიამ პირიქით – ორი ადგილით აინაცვლა და მეოცეზე დამკვიდრდა.**

დღევანდელი მდგომარეობით მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ოცეული ასეთია: 1.ახალი ზელანდია (91,68ძ, 2. სამხრეთ აფრიკა (89,96ძ, 3. საფრანგეთი (84,91ძ, 4. ავსტრალია (83,83ძ, 5. ირლანდია (82,61ძ, 6. ინგლისი (81,82ძ, 7. შოტლანდია (79,81ძ, 8. უელსი (78,58ძ 9. არგენტინა (77,54ძ, 10. ფიჯი (76,25ძ, 11. იტალია (72,97ძ, 12. იაპონია (71,92ძ, 13. სამოა (70,89ძ, 14. კანადა (69,43ძ, 15. აშშ (67,86ძ, 16. ტონგა (67,63ძ, 17. საქართველო (66,38ძ, 18. რუსეთი (65,80ძ, 19. რუმინეთი (65,10ძ, 20. ნამიბია (65,10 ქულაძ.

X X X

არგენტინაში დასრულდა ახალგაზრდა მორაგბეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 12 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალური პაექრობებიც ასე დამთავრდა: ავსტრალია – ინგლისი 28:16, ახალი ზელანდია – სამხრეთ აფრიკა 36:7. ფინალში ზელანდიელებმა ავსტრალიელებს 62:17 სძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.



დაჯილდოება

# ამაგი დაუფასეს

**ჩოგბურთის სამყაროში დიდი ხანია გაითქვა სახელი საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა გურამ თოხაძემ, რომელსაც მრავალი ახალგაზრდისთვის გაუკაფავს გზა საერთაშორისო სარბიელისკენ.** მისი აღზრდილები არიან ცნობილი ჩოგბურთელები – ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული ლეილა მესხი, დავით კაჭარავა, ეკა თოხაძე, გიორგი რევაზიშვილი, მაკა ჩახნაშვილი, თათია მიქაძე და სხვები.

ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის სპორტის ამ სახეობის ევროპის ფედერაციამ ამაგდარი მწვრთნელი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.



**სურათზე: ლეილა მესხი ევროპის ჩოგბურთის ფედერაციის ჯილდოს გადასცემს გურამ თოხაძეს.**

ჩოგბურთი

# ფედერერი გადარჩა

**უიმბლდონის ტურნირზე ამ შეჯიბრების ექვსგზის გამარჯვებულის როჯერ ფედერერისა და კოლუმბიელი ალეხანდრო ფილას პაექრობა სენსაციურად დაიწყო. შვეიცარიელს მეტოქე აქამდე ოთხჯერ ჰყავდა დამარცხებული, ამიტომ, ეტყობა, მასთან საბრძოლველად სრული მობილიზაციით არ გავიდა კორტზე, რაც კინაღამ სანანებელი გაუხდა: პირველი ორი სეტი კოლუმბიელმა მოიგო 7:5, 6:4. მართალია, ფედერერმა მესამე სეტში წარმატებას მიაღწია 6:4, აი, მეოთხეში კი ჩემპიონის ტურნირზე დარჩენა-არდარჩენის საკითხი დადგა. ბოლოს მაინც გამოცდილებამ იმარჯვა (7:6ძ, და შვეიცარიელმაც წონასწორობა აღადგინა. მეხუთე გადამწყვეტ სეტში კი კოლუმბიელს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ გაუწევია და 0:6 დამარცხდა.**



ფავორიტთა პირველი წრის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ენდი როდიკი (აშშძ – რაჯივ რამი (აშშძ 6:3, 6:2, 6:2, ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთიძ – კევინ ანდერსონი (ს. აფრიკაძ 3:6, 6:7, 7:6, 7:5, 9:7, ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთიძ – ოლივიე როხუსი (ბელგიაძ 4:6, 6:2, 3:6, 6:4, 6:2, ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალიაძ – მაქსიმო გონსალესი (არგენტინაძ 5:7, 6:0, 6:2, 6:2; კიმ კლაისტერსი (ბელგიაძ – მარია ელენა კამერინი (იტალიაძ 6:0, 6:3, მარია კირილენკო (რუსეთიძ – სტეფანი ფოგელი (შვეიცარიაძ 2:6, 6:4, 7:5, ჟუსტინ ენენი (ბელგიაძ – ანასტასია სევასტოვა (ლატვიაძ 6:4, 6:3, ნადია პეტროვა (რუსეთიძ – ტატიანა მალეკი (გერმანიაძ 6:4, 6:3, ელენა იანკოვიჩი (სერბეთიძ – ლაურა რობსონი (დიდი ბრიტანეთიძ 6:3, 7:6, მარიონ ბარტოლი (საფრანგეთიძ – ჯულია გორგესი (გერმანიაძ 6:4, 6:3, ვენუს უილიამსი (აშშძ – როსანა დელოს რიოსი (პარაგვაიძ 6:3, 6:3.

ინტერნეტიდან

## ყველაზე სექსუალური

**ასე მონათლეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალზელანდიელი მცველი უინსტონ რიდი.** ეს გამოკითხვა სამხრეთ აფრიკულმა ტელეარხმა Supersport-მა მოაწყო. მეორე ადგილზე მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი კოტდივუარელ დიდიე დროგბას ხვდა. მეოთხე-მეხუთე ადგილები სამხრეთაფრიკელ შაბალალას და ნიგერიელ კალუს ერგო.



## ლარისას პარაგვაისთვის წარმატება მოაქვს

**ბევრმა მამაკაცმა მსოფლიო ჩემპიონატზე თავის ფავორიტად პარაგვაის ნაკრები მიიჩნია. მოდი და ნუ ექომაგები, როცა ამ გუნდს მხარს უჭერს წლევანდელი მუნდიალის მთავარი აღმოჩენა – მოდელი ლარისა რიკელმე.**

მადისაღმძვრელი შესახედაობის ლამაზმანი სამშობლოში დიდი ხანია, ცნობილია. მისი ფოტოები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მსოფლიო ჩემპიონატზე რიკელმე, ცხადია, თავისიანებს გულშემატკივრობს. ინტერნეტის მომხმარებელთა შორის ეს ქალბატონი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ლარისა კმაყოფილია, რომ ასეთი ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში. ეს კარიერაში დამეხმარებაო, ამბობს. რაც შეეხება მის სიშიშვლეს, რიკელმემ გულახდილად აღიარა. „ეს ფოტოები მამაჩემმა რომ ნახოს, მომკლავსო“.



◉ ვაჰ, სოფელსა ამას!..

# ლამაზი სიცოცხლის შემდეგ...

**მიმოდიოდა ვერის უბანში პირმშვენიერი, სათნო ქალბატონი, უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა მუსიკა... სამედიცინოინსტიტუტდამთავრებული ი. ჟორჟანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ილვწოდა... ვაი რომ, ერთ დღეს მოურჩენელმა სნეულებამ წაილო მაია გველესიანის ლამაზი სიცოცხლე, წაილო ოცნებები, წაილო სამშობლოს, თბილისის, ადამიანის უზომო სიყვარული...**

და მისი სიკვდილის შემდეგ გავიგეთ, რომ მაია ძირითადი პროფესიის გარდა პოეზიითაც ყოფილა გატაცებული, თავადაც შესანიშნავ ლექსებს წერდა... აბა, დანაღვლიანებულ ძმას, უკეთილშობილეს თბილისელ კაცს ბიჭიკო გველესიანს სხვა რა პატივი უნდა მიეგო უსაყვარლესი დაიკოს ხსოვნისათვის?.. შეაგროვა მაიას ლექსები და ცალკე წიგნად აკინძა, ახლახან კი იგი შევსებული სახით გამოსცა.




მაია გველესიანის ლექსების კრებულში **„სიყვარული ქართული მიწის“** თქვენ გაეცნობით არაერთ კარგ ლექსს, რომელთაც კრებულის შესავალში ბატონი **ჯანსუღ ჩარკვიანი** გამოხმაურებია: **„მაია გველესიანი მოყვარული გახლავთ ლექსისა, თუმცა ეს სიყვარული მღელვარეა და სავსეა მშვენიერებით:**

**„რა ლამაზია მთაწმინდა,
დიდებით ამაღლებული,
თავისი ტურფა იერით,
მუდამ ჟამს გალაღებული“.**

აი, ასე ეფერება იგი ჩვენს მთაწმინდას. ან კიდევ, რა საოცარი სტრიქონებია:

**„ეს გაზაფხული ახალს თითქოს
არაფერს ამბობს,
მერცხლებიც აღარ მოფრინავენ,
ამაოდ ველით!“**

საოცარია, როგორ ესადაგება ეს სტრიქონები დღევანდელ დღეს!“

მეც სიამოვნებით გავეცანი მაიას ლექსებს, და, რაღა თქმა უნდა, თან გამყვა სევდა მათი ავტორის ამ სოფლიდანნაადრევად წასვლის გამო...

## მაია გველესიანი

**შენი თვალები ოცნებას ჰგავდა,
ზღვასავით ლურჯი და მოკამკამე;
შენი თვალები სიცოცხლეს ჰგავდა,
მოჰყავდა დღე და მოჰყავდა ღამე.
შენი სხეული სიყვარულს ჰგავდა,
ის იყო ტკბილი, სათნო და ნაზი;
შენი დალალი უღრან ტყეს ჰგავდა,
უდაბური და ძალზე ლამაზი.
შენი ღიმილი — მზის სხივის ზოლი.
შენი სიცილი —წყაროს ჩუხჩუხი,
შენი სინაზე — ატმის ყვავილი
და შენი ხილვა — ტრფობის ბილიკი
შენი ხმაური — ზვირთების თქეში
გასაოცარი და უცნაური.
მაგრამ შემოგხვდა გზაში ავდარი,
თავზე დაგატყდა ქარის თარეში,
გაფაქიზებულ სულსა და სხეულს
უჭირდა სუნთქვა სიმწუხარეში.**

...და დარჩა ლექსი ლამაზი სიცოცხლის შემდეგ...

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ჩვენი კარაბადინი

# ვარჯიში გონებისთვის

**სამწუხაროდ, მეხსიერების გაუარესება მხოლოდ სიბერის ასაკში როდი ხდება. მოწევა, სტრესები, გადაღლა, თავის ტრავმები, ზოგიერთი წამლის მიღება (განსაკუთრებით — ტკივილგამაყუჩებლებისა და ძილის) — ეს ყველაფერი და სხვა მიზეზები ასუსტებენ ტვინის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას, რომელშიც ჩვენი ფასდაუდებელი ცხოვრებისეული ბაგაჟის მეგაბაიტები ინახება.**

### ვერთვებით რეჟიმში

**გულმავიწყობა, რასაც სხვადასხვა სენი იწვევს (თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, თავის ტრავმები, ინტოქსიკაციები და ა.შ.), მოითხოვს პროფესიულ საექიმო დახმარებას. თუ თავიდან ავიცილებთ მიზეზს, ანუ თავად სენს, შეიძლება განვიკურნოთ ამ „საზიზღარი მეხსიერებისგან“.**

თუ ამ პრობლემაში დამნაშავენი არიან დაღლილობა და ქრონიკული სტრესი, აუცილებელია შევიცვალოთ საკუთარი ცხოვრების წესი. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ხშირად ვიყოთ სუფთა ჰაერზე, ვინაიდან ტვინის სისხლძარღვებს ნორმალური მუშაობისთვის სჭირდებათ ჟანგბადი. მეორეც, მიმართეთ სპორტს, ფიზიკური ვარჯიშები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას. მესამე, საჭიროა ვიძინოთ არანაკლებ 8 საათისა. ტვინისთვის სრულფასოვანი დასვენება მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ გაცილებით უფრო გონივრული იქნება, თუ მნიშვნელოვანი გამოცდის ან პასუხსაგები მოლაპარაკების წინ კარგად გამოიძინებთ და არ იჯდებით მამლის ყივილამდე კომპიუტერთან, სახელმძღვანელოებთან ან საქმიან ქაღალდებთან. ნებისმიერი გადაღლა (ფიზიკურიც, ფსიქიკურიც) ცუდად აისახება დამახსოვრების უნარზე, ამიტომ ხშირად მოიწყვეთ შესვენებები მუშაობის დროს, მეტი იმოძრავეთ. სტრესები და ნებისმიერი ფსიქიკური განცდები ნეგატიურ გავლენას ახდენენ მეხსიერებაზე, ამიტომ უნდა ვეცადოთ ყველანაირად ავიცილოთ ისინი თავიდან.



### ივარჯიშეთ!



**არის სპეციალური ფიზიკური ვარჯიშებიც მეხსიერების განმტკიცებისთვის. ბევრი მათგანი ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას ხერხემლის, კისრის განყოფილებაში, რომლის კარგ მდგომარეობაზეც ასევე დამოკიდებული არის ჩვენი ტვინის მუშაობა. ეს ვარჯიშები შეიძლება შევასრულოთ ოფისის დაუტოვებლადაც, აი ზოგიერთი მათგანი:**

**1. გაზმორება.** სკამზე ჯდომის დროს აჭიმეთ ხელები ზევით, შემდეგ გვერდით, თან გაიზნიქეთ წელში. დააფიქსირეთ ეს მდგომარეობა რამდენიმე წამით, რის შემდეგაც მოდუნდით. გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

**2. ქანქარა.** გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, ხელები — წელზე. სწრაფად დაიხარეთ წინ დაახლოებით 30 გრადუსით, შემდეგ მკვეთრად დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. რამდენიმე წამით იყავით ამ პოზაში, შემდეგ სწრაფად გადაიზნიქეთ უკან. იგივე გაიმეორეთ გვერდიდან გვერდზე. ეს ყოველივე გაიმეორეთ 4-5-ჯერ.

**3. თავის ტრიალი.** ჯდომის დროს თავი დახარეთ ნელ-ნელა წინ (შეეცადეთ ნიკაპი მიიდოთ მკერდზე) და მაქსიმალურად გადაიქნიეთ უკან თავი (8-10-ჯერ). შემდეგ თავი ნელა შეაბრუნეთ მარჯვნივ და მარცხნივ (5-8-ჯერ ორივე მხარეს). ეს მოძრაობა დაასრულეთ თავის ტრიალით წრიულად მარჯვნივ და მარცხნივ. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.

### დასამახსოვრებელი არომატები

**მეხსიერების განმტკიცების სწორი საშუალებაა სამკურნალო ბალახები და ეთერზეთები. ცნობილია, რომ პიტნის სუნი სტიმულს აძლევს ტვინის მმართველ ცენტრებს, ამიტომ ერთი ჭიქა პიტნის ნაყენი ან ჩაი პიტნის ფოთლით დილით იქნება არა მხოლოდ სასიამოვნო, არამედ აუცილებელი ყავის სასარგებლო შეცვლაც.**

ასევე მოქმედებს საადფთიაქო გვირილა. ისიც შეიძლება მოვხარშოთ ანდა ნახარშით მოვამზადოთ აბაზანა. ეთერზეთებიდან მეხსიერების განმტკიცების უნარი აქვთ როზმარინს (ის გვეხმარება აგრეთვე სტრესებისგან თავის დაღწევაში), რეჰანს, სალბს, კედარს, ლიმონს და ზოგიერთ სხვას. შეიძლება ამ ეთერზეთებით მივიღოთ აბაზანები, ანდა გამოვიყენოთ ისინი არომალამპებში და მედალიონებში.

# ციფრები და ფაქტები

**ადამიანის ტვინი საშუალოდ 1,4 კილოგრამს იწონის. 2-დან 7 წლამდე ასაკში ტვინი ვითარდება განსაკუთრებით ინტენსიურად.**



**100 000 ქიმიური რეაქცია ხდება ადამიანის ტვინში 1 წამის განმავლობაში.**

14 მილიარდი უჯრედია ადამიანის ტვინში დაბადების მომენტში და ეს რიცხვი გარდაცვალებამდე არ იზრდება. პირიქით, 25 წლის შემდეგ იგი მცირდება 100 ათასით დღეში. ერთი წუთის განმავლობაში, რომელიც ხმარდება ტექსტის ერთი გვერდის წაკითხვას, იღუპება დაახლოებით 70 უჯრედი.

ადამიანის ტვინი ერთი დღის განმავლობაში ახდენს უფრო მეტი ელექტრული იმპულსის გენერირებას, ვიდრე მსოფლიოს ყველა ტელეფონი ერთად აღებული.

5-დან 9 ობიექტამდე შეუძლია ერთდროულად შეინარჩუნოს მეხსიერებაში საშუალო სტატისტიკურ ადამიანს. მაგრამ შეიძლება ვავარჯიშოთ კაცი, რომ დაამუშაოს უფრო მეტი ოდენობის საგანი, ვიდრე ცხრაა, თუ ვასწავლით გააერთიანოს საგნები ჯგუფებად.

288 კილომეტრი საათში — ასეთია ის სიჩქარე, რითაც ტვინი გადასცემს სიგნალებს სხვადასხვა ორგანოებს.

ტვინის რეგულარული მუშაობა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მძიმე დაავადება — ალცგეიმერის სინდრომი. ინტელექტური აქტიურობა იწვევს დამატებითი ქსოვილის წარმოქმნას, რომელიც ახდენს დაავადებულის კომპენსირებას.

ტვინის 75 პროცენტი წყლისგან შედგება.

ადამიანის ინტელექტუალური უნარი გალვიძების უმალვე უფრო დაბალია, ვიდრე უძილო ღამის შემდეგ ან სიმთვრალის საშუალო სიმძიმის დროს.

ЗДОРОВЬЕ

**მაკა ძოწენიძე, ოთარ გაგუა, გივი სანაძე, ოთარ ნათიშვილი, ერეკლე ელიავა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, შალვა კვინტრაძე, ვლადიმერ ოდიშვილი, მიხეილ ქავთარია, თენგიზ მდივანი თანაგრძნობას უცხადებენ ვარდო, ვანო, გურამ პაპუნიძეებს დედის
მერი საკანდელიძე-პაპუნიძის
გარდაცვალების გამო.**

---

**მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის უდიდესი მწუხარება ჩემი უსაყვარლესი დედის
მერი (მარიამ) მიხეილის ასულ
ჭანტურიას
გარდაცვალების გამო.**

***უდიდეს მადლობას მოვახსენებ მის უსამღვდელოესობას ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მეუფე პეტრეს (ცაავა), ყველა სასულიერო პირს, ასევე აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გურამ გუნავას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ იური იობაიას, იმ დიდი თანადგომისა და თანაგრძნობისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ჩემს მიმართ ჩემი უდიდესი მწუხარების ჟამს.***

**ნანული (ნანა) გუნია**

### განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს:**

1. ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე). გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ მოსათხოვი თანხის 50 პროცენტში, თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნების გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) შეფასებული ღირებულების 50 პროცენტში.

- ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (მშენებარე) 398.80 კვ.მ., ფასი — 35500 ლარი.
- ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №42, საცხოვრებელი ფართი 115.88 კვ.მ., ფასი — 34500 ლარი.
- ქობულეთის რ-ნი სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი — 5 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა) ფართი — 465 კვ.მ., ფასი — 52250 ლარი.

**აუქციონი გაიმართება 2010 წლის 29 ივნისს 12 საათზე ქ. ბათუმში, 26 მაისს ქ. №33-ში.**

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №33. ტელ: 7-60-03. 899 51-13-82.**

**სააუქციონო კომისია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## დაიჯესტი

### აქვს თუ არა სიყვარულს ვადა?

**მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ბუნებამ ქალისა და მამაკაცის მგზნებარე სიყვარულს ვადად მხოლოდ სამი წელი დაუწესა... არადა, როგორც ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, ბუნების ეს „ბონუსური ვადა“ კიდევ უფრო მცირეა და მხოლოდ... 17 თვეს შეადგენს! ამ დროის მანძილზე ორ ადამიანს შორის „ნაპერწკალი“ გაირბენს და ორგანიზმი... ოპიატების, ნარკოტიკულების მსგავსი ნივთიერებების გამოყოფას იწყებს.**

ჰორმონების „თამაშის“ წყალობით შეყვარებულები თითქოს ბრმავდებიან, ერთმანეთის ნაკლს ვერ ამჩნევენ. სწორედ ამ დროს ლაგდება წყვილის ურთი-



ერთობა. შემდგომ კი, ბედნიერი შეყვარებულების ორგანიზმებში, როცა მათი ურთიერთობები სიმტკიცისა და პასუხისმგებლობის ფაზაში გადადის, ოქსიტოცინი და ვაზოპრესინი — სინაზისა და ერთმანეთის შეჩვევის ჰორმონები გამომუშავდება. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ისინი ამცირებენ ურთიერთობათა პირველი, მათრობელა სტადიის ჰორმონებს. ამის შედეგად, ნაზი სიახლოვის გრძნობის ზრდასთან ერთად მგზნებარე ვნება თანდათან ნავლდება.

ასე რომ, „სიყვარულის ქიმია“ გვეხმარება მეორე ნახევრის პოვნაში, ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, ერთობლივი რიტუალების შემუშავებაში, ერთიანი დარდების გაზიარებაში, რაც, არსებითად, დიდი ხნის სიყვარულის საწინდარია.

### თეთრი ყვავი

**ისეც ხდება ხოლმე, რომ შავი და რუხი ფერის ყვავების გუნდში უჩვეულო, ბამბასავით თეთრი ყვავი გამოჩნდება ხოლმე. თეთრი ყვავი არა მარტო ადამიანთა, არამედ თავის თანამოძმეთა ყურადღებას იწვევს. მას ყოველთვის მშფოთვარე და მძიმე ცხოვრება აქვს ხოლმე — თავისიანებიც არ აძლევენ მოსვენებას ზედმეტი ცნობისმოყვარეობითა და გამუდმებული ქიშპობით, მტაცებლებისთვისაც უპირველეს, ყოველ მხრივ დაუცველ სამიზნეს წარმოადგენს.**



გამოთქმა „თეთრი ყვავი“ ორ ათას წელზე მეტი ხნის წინათ რომაელმა სატირიკოსმა პოეტმა იუვენალმა გამოიყენა. მას იყენებენ სხვებისგან უჩვეულო ბედ-იღბლით, გარეგნობით, მოქცევით, სამოსით, ხასიათით ანდა რაიმე სხვა ნიშნით გამორჩეული ადამიანის დასახასიათებლად.

თეთრი ყვავების გარდა იშვიათად შეიძლება შეგხვდეთ თეთრი ბეღურა, კაჭკაჭი, შაშვი, არწივი, მერცხალი. ფრინველთათვის ეს უჩვეულო შეფერილობა ორგანიზმში მღებავი ნივთიერების — პიგმენტის არარსებობის მიზეზით ჩნდება. თავად მოვლენას ალბინიზმი, ხოლო მის მატარებელს ალბინოსები ეწოდებათ (ლათინური სიტყვა „albus“, „თეთრს“ ნიშნავსძ.

ალბინიზმს ცხოველთა შორისაც ვხვდებით: ცნობილია თეთრი მელიები, ფოცხვერები, ციყვები, ზღარბები, წავები, თახვები. აღმოსავლეთში — თეთრი სპილოები, ასევე ცნობილია თეთრი გველები, გველხოკერები, თევზები, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად არიან ალბინოსები მაიმუნებში, თუმცა საკუთრივ ალბინიზმი საკმაოდ იშვიათი მოვლენაა: ყოველ ათას ყვავში ერთი თუ გამოერევა თეთრი, ხოლო კამჩატკის კალანებში თითო ან ორი ალბინოსი 10-15 ათას ზრდასრულ ცხოველზე მოდის.

### ინდოეთში, საოცრებათა ქვეყანაში...

**ინდოეთის შტატ რაჯასთჰანის ქალაქ ტერატალში ქალთა ცეკვა სრულყოფილი რიტმული ფორმის ნიმუშადაა მიჩნეული. მას ორი ან მეტი მჯდომარე ქალი ასრულებს, რომლებსაც ხელებზე, ფეხებზე, მხრებსა და წელზე პატარა ზანზალაკები აქვთ მიმაგრებული, თუმცა ყველაზე მეტი ზანზალაკი მაინც ფეხებზე მაგრდება.** თანდათანობით ტემპის აჩქარებით მოცეკვავეები აჟღარუნებენ ზანზალაკებს, რომლებიც ხელით უჭირავთ. თვალებზე მათ გაუმჭვირვალე პირბადე აქვთ ჩამოფარებული და ვერაფერს ხედავენ — ეს უმაღლეს ხელოვნებად ითვლება. დროდადრო მოცეკვავე ქალის თავზე, რომელიც ზანზალაკების ჟღარუნს წამითაც არ წყვეტს და არც რიტმი ეშლება, მოხატულ ქოთანს დგამენ, რომელიც მილიმეტრითაც არ გაირხევა ხოლმე.



მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8871 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3179 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7920 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0568 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +20 – +32 |
| ქუთაისი. | +19 – +26 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |

## ანეკდოტები

ცოლი ნაღვლიანი თვალებით უყურებს ხანში შესულ, ღიპიან, გამელოტებულ ქმარს:

— იქნებ დილაობით სირბილი მაინც დაგეწყო...

— თუ გავიქეცი, უკან ნაღდად არ დავბრუნდები...

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ერთობლივი განცხადება გააკეთეს: „ჩვენ საკმაოდ გვაქვს ფული იმისთვის, რომ დავძლიოთ მსოფლიო ფინანსური კრიზისი!“



რა უნდა ქნან საქართველოს დანარჩენმა მოქალაქეებმა, ჯერჯერობით უცნობია.

* * *

— ისევ იჩხუბეთ?

— ჰო, მაგრამ ეს ნამდვილად სულელური იდეა იყო...

— რომელი?

— მისთვის საწოლში რომ გრიშა დამემალა...

* * *

მარომ გადაწყვიტა, ქმარს გაყროდა იმ მოტივით, რომ იგი მას მუდამ უსწორებდა ნათქვამს:

— ზაქრო, სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ, — უთხრა მან ქმარს.

— მე ზაქრო კი არა, შაქრო მქვია.

— აი, ხომ ხედავ, რაც არ უნდა ვთქვა, არ მოგწონს და მუდამ მისწორებ.

## დღის კალენდარი

### 23 ივნისი

**ხსენება წმიდა მღვდელმოწამე ტიმოთე პრუსიელ ეპისკოპოსისა და წმიდა მამისა ბასიანესი — ლავდიის ეპისკოპოსისა. მოწამეთა: ალექსანდრე და ანტონინა ქალწულისა და ღირსი თეოფანე ანტიოქელისა.**



ამოდის 04.27
ჩადის 19.39



ამოდის 17.04
ჩადის 01.36

### დაიბადნენ:

**1889 — ანა ახმატოვა,** დიდი რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1966 წელს.
**1910 — ჟან ანუი,** ფრანგი დრამატურგი. გარდაიცვალა 1987 წელს.
**1930 — კობა გურული,** მხატვარი, გარდაიცვალა 2010 წელს..

### გარდაიცვალნენ:

**1943 — ლადო ასათიანი,** პოეტი.
**1852 — კარლ ბრიულოვი,** მხატვარი. მას ფერწერის მეფეს ეძახდნენ.
**1995 — ჯონას ედვარდ სოლკი,** ამერიკელი ექიმი, გამოიგონა პოლიომელიტის საწინააღმდეგო ვაქცინა.

### მოვლენები:

**930** — დაარსდა მსოფლიოში უძველესი პარლამენტი — ისლანდიური ალტინგი.
**1828** — ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო ყარსი.
**1860** — დაარსდა აშშ-ს საიდუმლო ორგანიზაცია, თანამშრომლების პირველი დავალება ყალბი დოლარების წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**საერთაშორისო ოლიმპიური დღე.**
**ლუქსემბურგი** — ერცჰერცოგის დაბადების დღე.
**რუსეთი** — გამომგონებლის დღე.
**ესტონეთი** — კაიზერულ მხედრობაზე ესტონური ჯარების გამარჯვების დღე.
**ესტონეთი** — თავისუფლების დღე.
**ლიტვა** — გენოციდის მსხვერპლთა — ებრაელთა ხსოვნის დღე.
**მოლდოვა** — დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

## ინფორმაცია

### ოზურგეთში ვერტმფრენი ჩამოვარდა

ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ვერტმფრენი ჩამოვარდა.

როგორც ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში აცხადებენ, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ პილოტი დაშავდა.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.